# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 27 სექტემბერი 2005 №221 (2544) ფასი 50 თეთრი




**ერთი ორკაციანი, მეორე ოთხკაციანი**

ინტერვიუ გიორგი ქინქლაძესთან

5




**ქართველები უიღბლო კენჭისყრით იწყებენ**

ბათუმის ქალთა ღია ჩოგბურთი

12



**ასტურიელი პრინცი**

ფერნანდო ალონსო მსოფლიოს ჩემპიონია

15

# ტუში თუშიშვილს არის ოთარის ბრინჯაო

ოთარ თუშიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, საპატიო კვარცხლბეკზე იგი გუშინ ბუდაპეშტში დაწყებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრების მერე ავიდა. ამ წარმატებას ქართველმა ფალავანმა 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მიაღწია, როცა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ყაზახ ლეონიდ სპირიდონოვს სძლია.

მეთექვსმეტე გვერდი



# ხონჩიანი ამერიკელები თემქაზე




მეთექვსმეტე გვერდი

**მზერა** ამერიკისკენ გაგვირბის და, ისე როგორ იქნება, იქაურმა სპორტულმა სახეობებმაც არ გაგვიტაცოს. ერთ-ერთი ასეთი სახეობაა სოფტბოლი, რომლის დანერგვასაც რამდენიმე წლის წინათ შევუდექით, გუშინ კი თემქაზე, 143-ე სკოლის ეზოში ამ სახეობისთვის განკუთვნილი სტადიონი საზეიმოდ გაიხსნა. მის გახსნას ამერიკელები, სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონ პორტერი და გენერალური მდივანი ედი ლოხნერი მასპინძლებთან ერთად დაესწრნენ.

ამერიკელები ყველაფერში გვეხმარებიან და, ცხადია, ამ სახეობასაც არ ივიწყებენ. ამიტომ ისინი 50 ათას დოლარიანი ხონჩით ჩამოვიდნენ და ამუნიციის ნაწილი თემქის სტადიონზევე მოვარჯიშეებს საჩუქრად გადასცეს.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# რეჰაგელის ლეგიონი

**გაიოზ დარსაძისგან** განსხვავებით, ოტო რეჰაგელს სრული სანაკრებო სია ჯერ არ შეუდგენია — ევროპის ჩემპიონთა გერმანელმა მწვრთნელმა მხოლოდ იმ ლეგიონერების ვინაობა გაამხილა, რომლებიც 8 და 12 ოქტომბერს, შესაბამისად, დანიასთან და საქართველოსთან ითამაშებენ.

აი, ისინიც: *პანაიოტის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), იურკას სეიტარიდისი (დინამო, მოსკოვი, რუსეთი), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია), ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), სოტირის კირიაკოსი (რეინჯერსი, შოტლანდია).*

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ოტო რეჰაგელი სრულ შემადგენლობას ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

**გიორგი გაშაძიძე**

# ცხადაძე რჩება

**გუშინ** ხმა გავრცელდა, თბილისის „დინამოდან" მწვრთნელ კახა ცხადაძეს მალე გაუშვებენ და გუნდს გია გეგუჩაძეს ჩააბარებენო. იყო მეორე ვერსიაც, ცხადაძე გუნდიდან უკვე წავიდა და გუშინდელი „დინამოს" ვარჯიში მისმა თანაშემწემ, ზაურ სვანაძემ ჩაატარაო.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად „დინამოს" პრესსამსახურის უფროს ლევან სალუქვაძეს დავუკავშირდით: „ეს ყველაფერი ჭორია. კახა ცხადაძე „დინამოს" მწვრთნელია. რაც შეეხება გეგუჩაძესა და სვანაძეს, გეტყვით, რომ გია გეგუჩაძის გუნდში შესაძლო დაბრუნებაზე „დინამოს" ხელმძღვანელობა არც ფიქრობს. არც სვანაძეს ჩაუტარებია ვარჯიში, „დინამო" დღეს ისვენებდა".

**გიორგი გაშაძიძე**

საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი 17 — პირველი წრე — 6 ტური

ზუგდიდი 1:0 მერანი
მეშახტე 1:0 ლოკომოტივი 2
მესხეთი 2:1 მადაროელი
ლიახვი 2:4 რუსთავი
საგარეჯო 1:1 ვიტ ჯორჯია 2
მეშაქრე 1:0 თბილისი 2
ზესტაფონი 2 3:2 გურია
დინამო 2 0:0 გაგრა
ჩიხურა 0:1 ამერი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 6 | 5 | 1 | 0 | 9:2 | 16 |
| დინამო 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:3 | 11 |
| მესხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 3 | 2 | 1 | 3:2 | 11 |
| ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 13:5 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 4:2 | 10 |
| რუსთავი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| მერანი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| მეშახტე | 6 | 2 | 2 | 2 | 8:5 | 8 |
| საგარეჯო | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| მეშაქრე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| გურია | 6 | 2 | 1 | 3 | 13:10 | 7 |
| გაგრა | 6 | 1 | 4 | 1 | 2:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| თბილისი 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | 4 |
| მადაროელი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:13 | 4 |
| ლიახვი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:14 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 3 |

## თვალი თვალი



ბოლო დროს თბილისის „დინამო" მარცხს მიეძალა. თითქოს დინამოელები გათვალულნიც არიან — კახა ალადაშვილი „ვიტ ჯორჯიასთან" წინა ტურის მატჩში გააძევეს, მაგრამ არა მსაჯის ფურთხებისთვის, რისთვისაც ალადაშვილი უეფამ მარტში უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის შემდეგ დასაჯა...

ეს მსაჯი კი ავთანდილ ორდინიძეა, ვინც სარეზერვო იყო „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" შეხვედრაში.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „ბორჯომმა" გასულ შაბათს ქვეყნის 12-გზის ჩემპიონ „დინამოს" მოუგო. თავისთავად, ფაქტი მრავლისმეტყველია: მოუგო „დინამოს", თან მისსავე მოედანზე, ჩვენში ბევრს არ ხელეწიფება.

„ბორჯომმა" მე-17 ეროვნულის პირველივე მატჩი წააგო ბათუმში, მერე კი დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო: ზედიზედ ექვსი თამაში მოიგო, რომლის გვირგვინიც შაბათი და „დინამოს" წამოქცევა გახლდათ. ქართლელებს მომავალ ტურში ექვსის შვიდად გადაქცევაც შეუძლიათ — 1 ოქტომბერს „ოლიმპზე" „ცხინვალს" უმასპინძლებენ. მანამდე კი, „სარბიელის" კითხვებს „ბორჯომის" მწვრთნელი სოსო ფრუიძე პასუხობს...



# ჩვენ ყველასთან შეგვიძლია

— **„დინამოსთან" თამაშით დაიწყოთ, ელოდით მოგებას?**

— გამოგიტყდებით და ჩვენ ქულაზეც თანახმანი ვიყავით. ბოლო ორ ტურში ურთულესი მატჩები მოვიგეთ „ზესტაფონთან" და „დინამოსთან". ამ მატჩებში ექვს ქულას არა, მაგრამ ოთხს კი ნაღდად ვგეგმავდით.

— **ფეხბურთელებს თამაშამდე რა უთხარით, როგორ „დაქოქეთ" შეგირდები...**

— განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. ის ტაქტიკა ავირჩიეთ, რომლითაც წინა მატჩები მოვიგეთ.

— **მაგრამ წინა შეხვედრები სხვა იყო, შაბათისა კი სხვა. „დინამოს" ეგრედ წოდებული სინდრომი არ გქონიათ?**

— არანაირად. მოედანზე გასვლამდე ბიჭებს თვალებში რომ ჩავხედე, წამსვე მივხვდი, „დინამოს" ტოლს არაფერში დაუდებდნენ. და საერთოდ, დროა, გუნდებმა ყოველგვარი შიში დაივიწყონ, თამაში ყველასთან შეიძლება.

— **პრესკონფერენციაზე თქვით, რაც უნდა მოხდეს, „დინამო" მაინც ჩემპიონი გახდებაო. რატომ ფიქრობთ ასე?**

— ამის თქმის საფუძველს „დინამოში" შეკრებილი კონტინგენტი, მათი ინფრასტრუქტურა და პირობები მაძლევს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაძლოა, ზამთარში თბილისელებს ალანიელებიც შეუერთდნენ, „დინამოს" ჩემპიონობის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეს.

— **სხვებს თუ აქვთ შანსი?**

— როგორ არა: „ამერი", „სიონი", „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" ძალიან კარგი გუნდები არიან. ერთი სიტყვით, „დინამოს" კონკურენტები მრავლად ჰყავს.

— **„ბორჯომი" გამოგრჩათ თუ?..**

— „ბორჯომი", თავისთავად...

— **ჩემპიონატი ბათუმში მარცხით დაიწყეთ, მაგრამ მერე და მერე, რომ იტყვიან, მაგრად „აკრიფეთ". რაშია „ბორჯომის" წარმატების საიდუმლო?**

— პირველ რიგში პირობებზე ვიტყოდი. ქალაქის გამგეობა და პირადად გამგებელი რასაც შეგვპირდნენ, გვისრულებენ, ყველანაირად გვერდში გვიდგანან. გარდა ამისა, ჩვენთან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა, შეიძლება, სახელიანი არა, მაგრამ მონდომებულები კი არიან. გამოცდილი ფეხბურთელებიც გვყავს. მოკლედ, მათი ნაზავით გავლივართ ფონს.

— **და მწვრთნელი?**

— რა გითხრათ, ჩემგან უხერხულია ამის თქმა. მირჩევნია, ჩემი საქმიანობა სხვებმა შეაფასონ.

— **ვის გამოარჩევს „ბორჯომის" მწვრთნელი ყველაზე მეტად თავისი გუნდიდან?**

— უპირველესად იური გაბისკირიას, ისაა გუნდის ლიდერი. გეცოდინებათ, გაბისკირია მოთამაშე-მწვრთნელია და გვერდში მიდგას. გამოვარჩევდი აგრეთვე აფციაურს, გეწაძეს, ქორიძეს... მათ ყოველთვის შეუძლიათ, წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები.

**გიორგი გაშაძიძე**


# განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.


### ინგლისი
პრემიერლიგა. VII ტური
ტოტენჰემი 1:0 ფულემი

### გერმანია
II ბუნდესლიგა. VII ტური
ჰანზა 1:0 ალემანია

### საფრანგეთი
II დივიზიონი. IX ტური
სეტი 2:0 მონპელიე

### ნორვეგია
ტიპელიგა. XXII ტური
ბოდო გლიმტი 2:0 მიოლდე

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XXIV ტური
ინტერი 0:1 ტამპერე

### პორტუგალია
სუპერლიგა. V ტური
ბოავიშტა 2:1 აკადემიკა

### ჩეხეთი
I ლიგა. VII ტური
მოსტი 0:2 სიგმა

### ჰოლანდია
II დივიზიონი. IX ტური
გრააფსხაპი 0:0 ტელსტარი

### შვედეთი
ალსვენსკა. XXII ტური
გიოტებორგი 2:1 მალმიო
ჰამარბი 3:0 ასირისკა
ლანდსკრონა 1:0 იორგრიტე
სუპერეტა. XXVI ტური
იოსტერსი 1:1 ვესტერასი

### იტალია
სერია B. VII ტური
ბარი 0:1 ბოლონია
პიაჩენცა 1:0 ალბინოლეფე
სერია C1/A
III ტური
სპეცია 1:0 ჯულიანოვა

### საბერძნეთი
ნაციონალლიგა. IV ტური
კალამარია 1:2 ატრომიტოსი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 7 ტური

# როცა მილოცვაც სამწუხაროა



ბოლნისელი კოკა მიკუჩაძის გოლი ერთ რამედ ღირდა

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი. 2 000 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 1:2 სიონი

0:1 მიკუჩაძე (21), 0:2 დვალი (37), 1:2 კვასხვაძე (39)

**თბილისი:** მ. ალავიძე, მიმინოშვილი, ხაჭიპერაძე (ხოხონიშვილი 58), კაკაბაძე, გ. ბერიძე, გ. ფოფხაძე, გოგოხია, კვასხვაძე, მ. თოფურია (წუწუნდიანი 70), ბარამიძე, დარსაძე
სათადარიგონი: თევდორაძე, როსტომაშვილი, მოდებაძე, გოგა ფიფია, ვ. ქორიძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, ოქრომირიძე, სვანიძე, რაქვიაშვილი, ხმალაძე, კვიტაიშვილი (ქუცურუა 66), ბოლქვაძე (ბაჯელიძე 79), ა. ალავიძე, ჟ. დვალი, მიკუჩაძე (ქარდავა 74)
სათადარიგონი: ასლანაძე, აფალიანი, ჩაჩუა, ლ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**გაფრთხილება:** კაკაბაძე (34)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); გ. ასკაროლლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** გ. ბარქაია

ილია ნანობაშვილი

— **ამ სეზონში** მხოლოდ მიმლოცველის როლს ვასრულებ — ნირწამხდარი ამბობდა ნამატჩევს „თბილისის" თავკაცი გიორგი დევდარიანი. ისნელების წაგებებს ბოლო არ უჩანს, თუმც მომენტებში „თბილისი" სულაც არ ჰგავდა წყალწალებულ გუნდს — ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის, თორემ შესვენებამდე სწორედ ისეთი თამაში იყო, როგორსაც ცხრილი გვკარნახობდა: პოლუსებზე მყოფი გუნდების შესაფერისად, „სიონმა" შმაგად შეუტია და „თბილისი" თავის საჯარიმოში „დაასახლა".

ტრავმირებული გრიგოლ დოლიძის არყოფნაში ხვიჩა ქასრაშვილმა შეტევის მარჯვენა ფლანგი გიორგი კვიტაიშვილს ჩააბარა, ხოლო მარცხნივ არჩილ ალავიძე დაასაქმა. ექსთბილისელი კოკა მიკუჩაძე კი ყველაზე აქტიური იყო: მის დარტყმულს მასპინძელთა მცველი საჯარიმოში ხელით დაუხვდა, თუმცა მსაჯმა ავთანდილ ორდინიძემ ვერაფერი დაინახა. მოგვიანებით ორდინიძემ კიდევ ერთხელ წაუყრუა მიკუჩაძეზე ბლოკირებას და პენალტი არც ამჯერად გაიმეტა, ხოლო კიდევ ერთი უეჭველი საპენალტე სიტუაციისას კი გოლი გავიდა: ბოლნისელმა კვიტაიშვილმა მასპინძელთა მცველის ხელით თამაშზე ვაი-ვიში კი არ ატეხა, შეტევა გააგრძელა და შორეულ ძელთან ჩააბზრიალა ბურთი, სადაც კოკა მიკუჩაძემ თავი ურქინა — 0:1. ეს 21-ე წუთზე მოხდა.

„სიონი" უფრო გახელდა, გამთამაშებელი დავით ბოლქვაძე იუველირულ პასებს მიჰყვა და „თბილისის" მთელ დაცვას სახტად ტოვებდა, ერთხელ კი თავადაც შეეძლო გატანა, როდესაც ლევან ხმალაძესთან გათამაშებულ ლამაზ კომბინაციას ოდნავ უზუსტო დარტყმა მიაყოლა.

და მაინც, ქვემოქართლელთა მეორე გოლი სანახევროდ ბოლქვაძისა იყო: მიკუჩაძის პასის შემდეგ მან ძელს მოარტყა ბურთი და ციბრუტივით მობზრიალე ჯაბა დვალმა ცარიელ კარშიღა დაამატა. თუმცა 0:2 დიდხანს არ ყოფილა — თბილისელმა გიორგი დარსაძემ მოხდენილი პასით მარჯვენა ფლანგზე გააქროლა ნიკა კვასხვაძე, რომლის გასროლილს მინდია ბობლიაშვილმა ვერაფერი მოუხერხა და მასპინძლები შესვენებაზე ერთბურთიანი ჩამორჩენით გავიდნენ.

არ გვიხსენებია და, უმადურობა იქნება, „თბილისის" მეკარე მიხეილ ალავიძის გარჯა გამოგვრჩეს: ამ ბიჭმა გუშინ კატასავით იხტუნა აქეთ-იქით და ვერც დავთვალეთ, რამდენჯერ გადაარჩინა თავისიანები. 55-ე წუთზე მიკუჩაძის სამი-ოთხი მეტრიდან ნათავურალს ალავიძემ ისეთი „სეივი" გაუკეთა, ნახვად მართლაც ღირდა. იქამდე კი „თბილისის" მოდარაჯემ ბოლნისელი მოგვარე (არჩილ ალავიძე) გაამწარა, კარის ხაზზეც კარგად იდგა და გამოსვლებზეც თითქმის უშეცდომო იყო.

მეორე ტაიმში ბოლნისელებს ბევრჯერ მიეცათ სივრცე, ერთი პასი და ალავიძესთან პირისპირ შეყრა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ეს ერთი პასი ბარე ბევრჯერ დააკლდათ. მასპინძლებმა შტურმისმაგვარი კი სცადეს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდათ, ბობლიაშვილს ოდენ თემურ ბარამიძის შორეულ დარტყმულზე დასჭირდა გადახტომა, თორემ სხვა მხრივ „თბილისი" ქულის ღირსი იყოო, ვერ იტყოდი.

მოკლედ, „სიონმა" ლიდერობის დაკარგვა არ იკადრა და ორდღიანი შესვენების შემდეგ ყოჩობა დაიბრუნა.

ახლა მთელი ბოლნისი მომდევნო ტურს ელის: „თამაზ სტეფანიაზე" „ზესტაფონი" ჩადის...

## პრესკონფერენცია

*ხვიჩა ქასრაშვილი:* ვიცოდით, რომ მეტოქე მობილიზებული დაგვხვდებოდა. გულწრფელად მიკვირს, რატომ არის „თბილისი" ამდენ ხანს უქულოდ. შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა კიდეც.

*გიორგი დევდარიანი:* სამწუხაროდ, ჩემთვის ყველა პრესკონფერენცია მეტოქის მილოცვით იწყება. არავითარი შემთხვევითობა, „სიონი" ჩვენზე ძლიერია და კანონზომიერად მოგვიგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | 0 |

# შუმის ხმაური შეწყდა

## კანკავას შემოდგომა ვლადიკავკაზშია

*ალანიელი ქართველების ბოლო ჯერაც გაურკვეველია — უფრო სწორად ბერკეტები აქამდე ვუნდის ებრაელ მწვრთნელ იცხაკ შუმს ეჭირა, მაგრამ, ქართველთა გასახარად, გუშინ შუმი მოხსნეს! „ჩამოლაპორანტებული" ექვსი ქართველიდან ერთი, ჯაბა კანკავა გუშინ თბილისი იყო, მის „ზესტაფონში" ჩარიცხვაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და რეალურიც ჩანდა, მაგრამ ჯაბამ გვითხრა, ამ სეზონს ვლადიკავკაზში ჩავამთავრებო...*

— „ზესტაფონთან" შეთანხმება ვერ მოხერხდა. ისეთი საუბარი წარიმართა, რომ თავად არ ვისურვე ამ კლუბში ჩარიცხვა.

**— „დინამოზე" რა ისმის? როგორც ვიცით, მასაც სურდა შენი აყვანა...**

— „დინამოში" ჩამოსვლა პრობლემა არაა, მაგრამ ამ სეზონში „ალანიაში" დავრჩები. ასე ვამჯობინე.

**— კი მაგრამ, თუ არ გათამაშებენ?**

— პრემიერლიგის დასრულებამდე ექვსი ტურიღაა. თუ „ალანია" გავარდა, დიდი შანსია, თავისუფალი აგენტი გავხდე. ჯერჯერობით, არ გადამიწყვეტია, სეზონის ბოლოს რას ვიზამ.

**— დღეს გაირკვა, რომ შუმი მოუხსნიათ. იმედია, ეს შენ და სხვა ქართველებსაც სასიკეთოდ წაგადგებათ...**

— ალბათ. ჩემი ამბავი არ ვიცი, მაგრამ დავით კვირკველია უკვე გადაიყვანეს „ალანიას" მთავარ გუნდში.

**— მაინც რა მოხდა, რატომ მოგექცათ „ალანია" ასე?**

— უბრალო მიზეზია: შუმმა თავისი ფეხბურთელები მოიყვანა გუნდში და, ბუნებრივია, ყველანი მორითადი შემადგენლობისთვის უნდოდა. ქართველები კი მათი კონკურენტები ვიყავით და შუმმაც ასეთ საზიზღარ მეთოდს მიმართა. ერთი სიტყვით, შუმის ხელში ძირითად გუნდში გადასვლის შანსი არ არსებობდა...

ილია ნანობაშვილი


# თქვენი ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

«ფრაიბურგი» გერმანია

***ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია": გერმანული „ფრაიბურგის" კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ. ასე რომ, იაქტიურეთ...***



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ქართველები უცხოეთში



ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“ რუუდ ვან ნისტელროის „მანჩესტერს“ მთელი ინგლისის გასაკვირად მოუგო

## ჩეჩნეთში ქართველი ტერორისტი გამოჩნდა

### გიორგი ქინქლაძის დუბლი: მატჩის საუკეთესო სიმბოლურ ნაკრებშია

*მორიგი ლეგიონერული უქმეების გმირი გიორგი ქინქლაძეა* — ყაზანის „რუბინის“ ქართველი გამთამაშებელი, ვინც გროზნოს „ტერეკს“ ორი გოლი გაუტანა და კიდევ ორ გოლში ლომის წილი დაიდო. „ქინქიმ“ ჟურნალისტებისგან საკმაოდ მაღალი, 7,0 ქულა დაიმსახურა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

„რუბინმა“ 5:1 მიანგრია „ტერეკი“ და ახლა სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა. ქინქლაძის გარდა ყაზანელთა შემადგენლობაში *ლაშა სალუქვაძემაც* ითამაშა.

*რუსეთშივე დავრჩეთ და მოსკოვის „ლოკომოტივზე“ ვთქვათ.* რკინიგზელებმა მოულოდნელად 0:3 წააგეს თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ და ახლა ორად ორი ქულითღა უსწრებენ კონკურენტ ცეესკას. „ტორპედოსთან“ დისკვალიფიკაციამოხდილმა *მალხაზ ასათიანმა* სრულად ითამაშა და ერთი-ორჯერ შეტევაში ჩართვაც სცადა, თუმც ჩანს, იმ დღეს ლოკომოტიველები თამაშის იშტაზე არ იყვნენ.

*მთელი ინგლისი ალაპარაკა ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“.* მარკ ჰიუზის გუნდმა მრისხანე „მანჩესტერს“ სტუმრად 2:1 მოუგო და სატურნირო ვითარებაც მნიშვნელოვნად გამოისწორა. ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა და, როგორც იგრძნობა, მას სულაც არ გასჭირვებია ახალ გუნდში ადაპტაცია — ჩვენებურის გარეშე „ბლექბერნის“ დაცვა უკვე წარმოუდგენელიც ჩანს.

*ლევან კობიაშვილის „შალკემ“ შინ „ჰანოვერი“ 2:0 დაამარცხა* და მეხუთე ადგილამდე აღზევდა. „კობიმ“ სრულად ითამაშა და კევინ კურანის საგოლე პასიც მიაწოდა.

*მოიგო ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგმაც“.* თუმცა ქართველი ნახევარმცველი მწვრთნელმა 45-ე წუთზე შეცვალა. „ვოლფსბურგი“ ერთი ქულით ჩამორჩება „შალკეს“.

*სეზონის პირველი გოლი გაიტანა ალექსანდრე იაშვილმა.* „ფრაიბურგმა“ შინ „უნტერჰახინგი“ 3:2 დაამარცხა და „იაშკამ“ გოლის გარდა საგოლე პასითაც გამოიჩინა თავი.

*მოულოდნელად წაიფორთხილა შოთა არველაძის „ალკმაარმა“.* აზელები სტუმრად „ბრედასთან“ 1:2 დამარცხდნენ და ლიდერობაც დაკარგეს. არველაძემ 90 წუთი ითამაშა და ამჯერად გოლის გატანა ვერ შეძლო.

*მეხუთე ლატვიური თასი აღმართა ალექსანდრე რეხვიაშვილმა.* „ვენტსპილსმა“ მძიმე ბრძოლაში, დამატებით დროში 2:1 აჯობა *ლევან მიქაძის* „მეტალურგსს“ და მესამე წელია, თასს არავის უთმობს. ცნობისთვის: წინა ორი ტიტული რეხვიაშვილმა რიგის „სკონტოში“ თამაშისას მოიპოვა.

*თემურ ქეცბაია და „ანართოსისი“ ისევ ჩაუქრობენ.* ფამაგუსტელებმა 2:0 მოუგეს „აშნას“ და პირველი გოლი სწორედ ქეცბაიამ გაიტანა.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ტრევიზო 2:0 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანოვერი 2:0 | 90 | საგოლე პასი, გააფრთხილეს | 7 | 0 | 5 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | აინტრახტი 1:0 | 45 | შეცვალეს | 7 | 0 | 6 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | უნტერჰახინგი 3:2 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 7 | 1 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | უნტერჰახინგი 3:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ქემნიცი 0:0 | 83 | შეცვალეს | 9 | 1 | 3 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | აალენი 2:0 | 82 | 1 გოლი, შეცვალეს | 7 | 5 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | მანჩესტერი 2:1 | 90 | | 3 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ბრედა 1:2 | 90 | | 6 | 9 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ფეიენოორდი 1:3 | 0 | | 5 | 0 | 16 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ადმირა 3:2 | 64 | შეცვალეს | 10 | 5 | 6 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 0:3 | 90 | | 23 | 1 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | დინამო 1:2 | 78 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 9 | 1 | 14 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | ს | დინამო 1:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 14 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 17 | 1 | 15 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 6 | 0 | 15 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 13 | 0 | 15 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 13 | 0 | 15 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 10 | 0 | 15 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 7 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | ამკარი 0:1 | 45 | შეცვალეს | 7 | 2 | 15 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | ტერეკი 5:1 | 83 | 2 გოლი, შეცვალეს | 4 | 2 | 5 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ტერეკი 5:1 | 90 | | 19 | 0 | 5 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | ტერეკი 5:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | მ. კუზბასი 0:2 | 0 | | 12 | 0 | 3 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | მ. კუზბასი 0:2 | 0 | | 5 | 0 | 3 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | ჩკალოვეცი 3:0 | 0 | | 15 | 0 | 2 |
| კახა მყავანაძე | ანჟი | ს | მეტალურგი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 29 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | კამაზი 0:3 | 0 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | ხიმკი 2:0 | 40 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 29 | 5 | 18 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | | ტური გამოტოვა | | | 30 | 2 | 15 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | სპარტაკი 0:3 | 0 | | 8 | 0 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | სტალი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | სტალი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | არსენალი 1:2 | 90 | | 10 | 6 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ვორსკლა 0:0 | 90 | | 10 | 3 | 9 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:1 | 70 | შეცვალეს | 10 | 1 | 13 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | დნიპრო 0:0 | 90 | | 3 | 0 | 3 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | შ | ვოლინი 7:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ლევადიაკოსი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | აარაუ 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 1 | 2 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აშნა 2:0 | 65 | 1 გოლი, შეცვალეს | 4 | 2 | 3 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აშნა 2:0 | 90 | | 2 | 1 | 3 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აშნა 2:0 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | ანართოსისი 0:2 | 29 | შეცვალეს | 4 | 1 | 9 |
| **ლატვია. თასის ფინალი** | | | | | | | | |
| ლევან მიქაძე | მეტალურგსი | ნ | ვენტსპილსი 1:2დ.დ. | 90 | | | | |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | ნ | მეტალურგსი 2:1დ.დ. | 90 | | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

რუსულ პრემიერლიგაში 32 წლის გიორგი ქინქლაძემ პირველი გოლები გაიტანა — ყაზანის „რუბინმა“ სტუმრად 5:1 მოუგო გროზნოს „ტერეკს“ და ჩეჩნებს ორი ბურთი ქინქლაძემ შეუგდო.

ქინქლაძის და ლაშა სალუქვაძის „რუბინი“ ახლა მეხუთე ადგილზეა და ზედა საფეხურებისთვის იბრძვის, რათა უეფას თასის საგზური მოიპოვოს. რუსეთის ჩემპიონატის ჩამთავრებას ექვსი ტური უკლია, მომდევნო ტურში „რუბინი“ ტომსკის „ტომს“ მასპინძლობს...

მანამდე კი, „სარბიელის“ კითხვებს გიორგი ქინქლაძე პასუხობს...

# ერთი ორკაციანი, მეორე ოთხკაციანი

## გიორგი ქინქლაძე: უკვე ჩემ თამაშს ვთამაშობ



— „ტერეკს“ როგორი გოლები გაუტანე?

— ჯერ ორი მეტოქე მოვატყუე და გავიტანე, მეორედ კი ოთხი ჩამოვიცილე და ისე შევაგდე.

— ეს შენი მეოთხე მატჩი იყო რუსეთის პრემიერლიგაში. წინა შეხვედრებში, ცოტა არ იყოს, ფრთხილობდი, უფრო ბურთის არდაკარგვაზე თამაშობდი...

— ახლა სხვანაირადაა, შეიძლება ითქვას, რომ უკვე ჩემ თამაშს ვთამაშობ.

— და ეს იმის საფუძველი ხომ არაა, რომ „რუბინში“ მომდევნო სეზონშიც ითამაშებ?

— ჯერ ამაზე არ მისაუბრია კლუბის ხელმძღვანელობასთან. ახლა ჩვენთვის მთავარი უეფას თავის საგზურია, რისთვისაც მეოთხე ადგილზე გასვლა გვყოფნის.

— რუსულ პრემიერლიგას უკვე შეეგუე? უკვე ჩაჯექი მაქაურ რიტმში?

— კი, უკვე არანაირი პრობლემა არ მაქვს, რუსული პრემიერლიგის რიტმში მართლაც ჩავჯექი. ევროპული სტანდარტებით რუსეთის ჩემპიონატი საკმაოდ ძლიერია. რუსეთში კვიპროსიდან ჩამოვედი და განსხვავება საკმაოა — აქ გაცილებით დიდი დატვირთვაა, ბევრად უფრო სწრაფად თამაშობენ.

— ეროვნულ ნაკრებში 54 მატჩი გითამაშია და შენი აზრი გვაინტერესებს — შესაძლოა, ნაკრები მომდევნო ციკლშიც ქართველმა მწვრთნელმა ჩაიბაროს და რამდენად სწორად მიგაჩნია ეს?

— თუ ნაკრებისთვის მაინცდამაინც ქართველი მწვრთნელი უნდათ, ჩემი აზრით, ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატურაა — კახა ცხადაძე. ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ცხადაძის გაწვრთნილი თბილისის „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატში ახლა მერვე ადგილზეა.

**დავით თავართქილაძე**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

**7 და 8 ოქტომბერს ყაზახეთის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებთან მატჩებზე აკრედიტაციისთვის შესაბამისი თხოვნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს მიმართეთ არაუგვიანეს 29 სექტემბრისა.**

# «აზ» წარმოგიდგენთ: გატანისთვის დაბადებული მისტერ ბინი




მთელი სექტემბერი შოთა მაგრად უბერავს ჰოლანდიაში. „ალკმაარიც“ წინ არის და საერთოდ, ეს ამბავი მის ძველ და მაგარ სეზონებს მოგვაგონებს.

ცხადია, ჰოლანდიური პრესაც მისდევს ქართველ მეგოლეს და ნამდვილთან ერთად ბევრ საოხუნჯო რამეს აქვეყნებს. ჯერ კიდევ „აიაქსიდან“ გამოყოლილი, შოთას ჰოლანდიური მეტსახელი მისტერ ბინია, ჰოდა, გაზეთებში შოთა-ბინის კოლაჟებსაც იპოვნით და სხვა ოხუნჯობებსაც.




შოთა „აიაქსის“ ძველ ლოგოზეც კია გამოხატული.

„გატანისთვის დაბადებული“ კომიქსებშიც ჩანს და მისტერ ბინის ცნობილ პატარა მანქანასთანაც. ერთგან შოთა განთქმულ „სახენაიარევ კაცის“ ტონი მონტანასავით გამოუხატავთ. ეს ფოტო იმის გამოძახილია, „აიაქსს“ რომ ორი გოლი შეუგდო. ფოტოზე განგსტერული სიტყვებია „შენც მაგრად შეგეშალა, დენი“. დენი ბლინდი ხომ „აიაქსის“ მწვრთნელია.

მერე ვითომ შოთამ „კატოკივით“ გადაუარა „აიაქსს“.

ხოლო „აიაქსი“ მას ისევე ეძებს, როგორც განთქმულ ბანდიტს: 15 მილიონი იმას, ვინც ამ ბიჭს ამსტერდამში ჩამოიყვანსო.

მოკლედ, ხალისობენ.

თან კი, საქმე.



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ბაიერნი — ბრიუგე

მიუნხენი. „ალიანსარენა". მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრები (ნორვეგია)

კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლიზარაზუ, დაისლერი, დემიჩი, შვაინშტაიგერი, გერერო, მაკაი

ბუტინა, დეკოკი, მარტენსი, ვანდელანუა, ბლონდელი, მატონდო, ბალაბანი, პორტილი, ფერჰეენი

### იუვენტუსი — რაპიდი

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: მარტინ ჰენსონი (შვედეთი)

აბიატი, კოვაჩი, კანავარო, ბლაზი, ძამბროტა, კამორანეზი, ვიეირა, ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი

პეიერი, ბეიბლი, დობერი, ადამსკი, ვალახოვიჩი, ჰოფმანი, ჰლინკა, კორსოში, ივანშიტცი, ლოური, კინსლი



როი მაკაის ყველა უნდა უფრთხოდეს

# დიდები პატარებზე

„ბრიუგე" ბავარიულ გრანდს, როგორც დაჭრილი ლომს, ისე უნდა ერიდოს. სამშაბათს, მიუნხენელები, ევროპული მასშტაბებით მოკრძალებულ ბელგიურ კლუბს ახალ „ალიანს არენაზე" დაუპირისპირდებიან. ახალს ჩემპიონთა ლიგასთვის, თორემ შიდა, გერმანული ბატალიები აქ უკვე გამართულა.

გასულ უქმეებზე „ბაიერნმა" „ჰამბურგთან" წააგო. ამით მისი თხუთმეტმატჩიანი გამარჯვებების სერია დასრულდა. სწორედ ამიტომ უნდა იყოს „ბრიუგე" ორმაგად ფრთხილად. გასაგებია, რომ მომავალი სალიგო ჯახი გერმანელებისთვის ღირსების საქმეა.

„ბრიუგესთან" შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით. დღეს სეზონში ყველაზე ცუდი მატჩი ჩავატარეთ, მაგრამ შეცდომებს გავითვალისწინებთ და გამოვასწორებთ" — განაცხადა „ჰამბურგთან" წაგებული მატჩის შემდეგ უბერებელმა ოლივერ კანმა.

თუ გერმანელებმა ჯგუფში მეორე გამარჯვება მოიპოვეს, მათ ექვსი ქულით „იუვენტუსთან" მშვიდად თამაშის საშუალება მიეცემათ.

ბავარიელების არ იყოს, საკუთარ ჩემპიონატში „ბრიუგემაც" წააგო სახლში „ლოკერენთან" 0:1. სამ დღეში ეს მათი მეორე მარცხი იყო.

„არ მინდა, თავი ვიმართლო, მაგრამ ბოლო ხანებში თითქოს ყველაფერი ჩვენს წინაალმდეგაა მიმართული" — დაიჩივლა ბელგიელთა ტექნიკურმა დირექტორმა მარკ დეგრისმა.

„ბრიუგეს" მართლაც დიდი საკადრო პრობლემები აქვს. მცველებმა, გუნტერ ვანდენერდმა და მარეკ სპილარმა ტრავმები მიიღეს და კლუბის ლაზარეთის ისედაც გრძელი სია კიდევ უფრო გაზარდეს, თუმც დაბრუნდა გუნდის კაპიტანი ვერჰეიენი.

**A** ჯგუფის მეორე დაპირისპირება „დელე ალპიზე" გაიმართება. აქ ფავორიტის ვინაობა წესით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქამდე ევროტურნირებზე ეს გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. სამჯერ „იუვემ" იმარჯვა, ერთი მატჩი კი ფრედ დასრულდა. საკუთარ მინდორზე იტალიელებს „რაპიდისგან" გოლი არ გაუშვიათ. ორივე გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს. თუ არ ჩავთვლით პატრიკ ვიეირას არყოფნას, რომელიც „ბრიუგესთან" მატჩში მინდვრიდან გააძევეს.

მოგეხსენებათ, ტურინელთა თავკაცი ფაბიო კაპელო როტაციის პრინციპს მიმართავს, განსაკუთრებით თავდასხმაში. ჯერჯერობით უცნობია ვის ათამაშებს იგი ამჯერად.

ფაბიო კაპელო: „ჯერ არ გადამიწყვეტია ვის ვათამაშებ, მაგრამ შემადგენლობა ოპტიმალური იქნება, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ჩვენ საკმაოდ ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელსაც კონტრიერიშებზე თამაში ეხერხება. ამიტომ მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიყოთ".

**ზურაბ გოცირიძე**



ფაბიო კაპელო
ოპტიმალურ შემადგენლობაზე ფიქრობს

## B ჯგუფი

### აიაქსი — არსენალი

ამსტერდამი. „ამსტრედამ არენა". მსაჯი: მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

ვონკი, გრიგერა, ემანუელსონი, მადურო, გალაშეკი, ჰეიტინგა, ლინდენბერგი, როსალესი, როსენბერგი, პიენაარი, ბაბელი

ლემანი, ლორენი, ტურე, კოული, კემპბელი, ჟილბერტო, ფაბრეგასი, პირესი, ლიუნგბერგი, ვან პერსი, რეიესი

### თუნი — სპარტა

თუნი. „ლახენშტადიონი". მსაჯი: ბერტრანდ ლეისი (საფრანგეთი)

იაკუპოვიჩი, პოზიჩი, ორმანი, მილიჩევიჩი, კონსალვეში, გერბერი, ბერნარდი, ადრიანო, აიგერტესი, ფერეირა, ლუსტრინელი

ბლაჟევი, პედრასი, პოსპეჩი, კარდლეცი, კისელი, სილოკი, ჟელენკა, პოლაჩეკი, დოსეკი, სლეპიჩკა, მატუსოვიჩი

# ტრავმირებულები

**ლონდონის** „არსენალს" ტრავმების გამო გზადაგზა ფეხბურთელები შემოეფცქვნა და ასე „გატიტვლებული" ეწვევა „აიაქსს". საქმე იქამდე მივიდა, რომ არსენ ვენგერმა 19 წლის ჰოლანდიელ ფორვარდ ქუინსი ოვუსუ-აბეიეს უხმო, რომელიც ამსტერდამშია დაბადებული და ევროთასებზე არასოდეს უთამაშია.

ტიერი ანრის ტრავმა უკვე დაძველდა და „არსენალიც" შეეგუა. ანრის „ვესტ ჰემთან" მატჩში დაშავებული ჟილბერტო, რობერ პირესი და დენის ბერხკამპი მიემატნენ. ჰოლანდიელს სამშობლოში თამაშის ძალიან მცირე შანსი აქვს, პირესის ამბავი კი დღეს გადაწყდება.

რობინ ვან პერსი „თუნთან" შეხვედრაში გააძევეს, რის გამოც „აიაქსთან" გუნდს დააკლდება ისევე, როგორც ორ ყვითელბარათიანი მეკარე იენს ლემანი.

ამსტერდამის „აიაქსიც" არანაკლებ შეწუხებულია ტრავმებით. უესლი სნეიდერი, ნაიჯელ დე იონგი, ზდენეკ გრიგერა და ჰატემ ტრაბელსი დაშავებულები არიან.

აიაქსელებმა წინა კვირაში ორი მატჩი ითამაშეს. ოთხშაბათს „დენ ჰააგს" შინ დაუზავდნენ, ხოლო გუშინწინ „როდას" 4:1 მოუგეს. ასე რომ, ამსტერდამელებს შვიდ დღეში ზედიზედ მესამე მატჩი დააწვებათ კისერზე. „არსენალი" კი პრემიერლიგაში „ვესტ ჰემს" ესტუმრა და უგოლო ფრეს დაჯერდა. „აიაქსმა" პრაღაში „სპარტასთან" გაათანაბრა და ქულა მიითვალა, ხოლო „არსენალმა" „თუნს" ბერხკამპის გოლით გამოჰგლიჯა ქულა.

„აიაქსი" ინგლისურ გუნდს ბოლოს სამი წლის წინ შეხვდა და მისი მეტოქე სწორედ „არსენალი" იყო. ამსტრედამული მატჩი მაშინ 0:0 დასრულდა.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში (1996) გასვლის შემდეგ ამსტერდამელებმა ამ ტურნირში 21 საშინაო შეხვედრა ითამაშეს და მხოლოდ რვა მოიგეს.

რაც შეეხება „არსენალს", „აიაქსთან" თუ გაიტანს, ჩემპიონთა ლიგაში მე-100 გოლს მიითვლის.

პრაღის „სპარტას" კაპიტანი და ლიდერი კარელ პობორსკი მწვრთნელ იაროსლავ ჰრებიკს ეჩხუბა, რის გამოც გუნდიდან გაუშვეს. პობორსკი მეორე დივიზიონის „ბუდეიოვიცეში" გადავიდა, კაპიტნის სამკლავური კი მეკარე იაროსლავ ბლაჟეკს ერგო. „სპარტა" ჩემპიონატში ძველებურად ვეღარ ბრწყინავს — ცხრილის შუაშია გაჩხერილი. ბოლო ტურში პრაღელებმა შინ „ბანიკთან" 0:2 წააგეს. ჩემპიონთა ლიგის ბოლო ცხრა გასვლითი მატჩიდან „სპარტას" ერთიც არ მოუგია.

„თუნი" ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირში პირველ საშინაო შეხვედრას ითამაშებს. შინაჩემპიონატში ურს შიონენბერგერის გუნდმა სტუმრად „არაუსთან" 1:2 წააგო და ბოლო ხუთ მატჩში მესამე მარცხით „დამძიმდა". შიონენბერგერმა განაცხადა, რომ მისი შეგირდები „სპარტასთან" გაცილებით უკეთ ითამაშებენ, რადგან ჩემპიონთა ლიგაში მოტივაცია მეტია. აქვე ვთქვათ, რომ საკვალიფიკაციო მატჩებში „თუნს" შინ გოლი არ გაუშვია. კიევის „დინამოს" 1:0 მოუგო, „მალმიოს" კი — 3:0.

**მაშა ხუციშვილი**



უესლი სნეიდერი (მარცხნივ) „არსენალთან" ვერ ითამაშებს

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბარსელონა — უდინეზე

ბარსელონა. „ნოუ კამპი“. მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

| ბარსელონა | უდინეზე |
|---|---|
| ვალდესი, პუიოლი, ბელეტი, ოლეგერი, მარკესი, ვან ბომელი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ჟიული, რონალდინიო, ეტოო | დე სანქტისი, ფელიპე, ზუარესი, ნატალი, ძენინი, ობოდო, ვიდიგალი, კანდელა, მონტარი, დი ნატალე, დი მიკელე |

### პანათინაიკოსი — ვერდერი

ათენი. „აპოსტოლოს ნიკოლაიდისი“. მსაჯი: ერიკ პოლა (საფრანგეთი)

| პანათინაიკოსი | ვერდერი |
|---|---|
| გალინოვიჩი, კოციოსი, მორისი, გუმასი, ნილსონი, ბისკანი, გონსალესი, სერიჩი, ხარალამბიდესი, ტორგელე, პუტორი | რაინკე, ოვომოიელა, ნალდო, შულსი, პასანენი, ფრინგსი, ბაუმანი, მიკუ, ბოროვსკი, კლასნიჩი, კლოზე |

## D ჯგუფი

### ლილი — ვილარეალი

პარიზი. „სენ დენი“. მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

| ლილი | ვილარეალი |
|---|---|
| სილვა, შელმე, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, გი მაქსი, მაკუნი, ბოდმერი, კაბეი, დერნისი, მუსილუ | ვიერა, ექტორ ვონტი, კრომჯაჰი, როდრიგესი, ალვარესი, არუაბარენა, რიკელმე, სენა, სორინი, ფორლანი, გიარე |

### მანჩესტერი — ბენფიკა

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“. მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

| მანჩესტერი | ბენფიკა |
|---|---|
| ვან დერ სარი, ოში, სილვესტრი, ფერდინანდი, ჰაინცე, ფლეტჩერი, სქოულზი, რონალდო, სმიტი, პარკი, ვან ნისტელროი | მორეირა, როკა, ლუიზაო, პეტი, ლეო, ფერნანდესი, ჟოკანი, სიმაო, მიკოლი, კარაგუნისი, მანტორასი, ნუნუ გომეში |



უდინელები უპირველეს ყოვლისა რონალდინიოს უნდა უფრთხოდნენ

# ლიგას კატალონიაში უდინელები დააბრუნებენ

**დღეს** ჩემპიონთა ლიგის მესამე ჯგუფში ფრანკ რაიკაარდის „ბარსელონა“ იტალიურ „უდინეზეს“ უმასპინძლებს. რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კატალონიურ „ნოუ კამპზე“ ლიგის თამაში არ გამართულა. უკანასკნელი წინა სეზონის „ბარსა“ — „ჩელსი“ გახლდათ და, ბუნებრივია, იქაური ინჩაბობა აპენინელთა ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდება. „ბარსელონამ“ პრიმერადივიზიონის მეხუთე ტურში „ბეტისი“ სტუმრად 1:4 დაამარცხა. ხსენებულ ჯახში გუნდის ლიდერებს, რონალდინიოსა და დეკოს არ უბურთავიათ. ფრანკ რაიკაარდის განცხადებით, „ბარსას“ ჩაუქებმა მხოლოდ წინასალიგოდ შეისვენეს და უდინელებთან აუცილებლად ითამაშებენ. სავარაუდოდ, მასპინძელთა ძირითადში მესის ვიხილავთ, რაც ჟიულის სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლებას ნიშნავს. სასტარტო თერთმეტში იქნება აგრეთვე ინიესტაც, ხავის კი მწვრთნელი მოედანზე ალბათ მეორე ტაიმში მოუხმობს.

სერიე კოზმის „უდინეზემ“ სერია A-ში ერთი კვირის მანძილზე ზედიზედ სამი თამაში წააგო. გუნდის გამორჩეულ მეგოლე ვინჩენცო იაკინტას კონტრაქტის განახლების თაობაზე უდინელთა უფროსობასთან აქვს კონფლიქტი, მიტომაც იგი „კამპ ნოუზე“ არ იქნება (არადა, იაკინტამ ლიგის პირველ მატჩში „პანათინაიკოსს“ სამი ბურთი გაუტანა). „უდინეს“ იმედი კატალანურ ჯახში ვეტერანი ფრანგი კანდელა, ნიგერიელი ობოდო და თავდასხმაში დი ნატალესა და დი მიკელეს წყვილი გახლავთ.

**C** ჯგუფის პარალელურ თამაშში თომას შააფის „ვერდერი“ „პანათინაიკოსს“ ელადაში შეებმება. ეს გუნდები ერთმანეთს ადრე არასდროს შეხვედრიან, თან 27 სექტემბრის მატჩი „მუსიკოსთათვის“ ბერძნულ კლუბებთან პირველი ოფიციალური შეხვედრა იქნება. რაც შეეხება „პანათინაიკოსს“, ათენელებს სხვა ალემანებთან ჭიდილი ტრადიციულად უჭირთ-ხოლმე. სტატისტიკა „ვერდერის“ თანამემამულეთა მხარეზეა — ალბერტო მალესანის გუნდმა გერმანელებთან გამართული 8 ჯახიდან ერთი მოიგო, 3 წააგო და ოთხიც ფრედ დაამთავრა.

„პანათინაიკოსმა“ საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში „პანიონიოსს“ 3:0 მოუგო. ელინთა ლიდერები, ეზეკიელ გონსალესი და ფლავიო კონსეისაო მწყობრში არიან და „ვესერშტადიონზეც“ იბურთავებენ. „ვერდერმა“ ბუნდესლიგის შეხვედრაში „ლევერკუზენი“ მიროსლავ კლოზეს და ივან კლასნიჩის გოლებით დაამარცხა. შააფის ბიჭებმა 2005-06-ის ლიგა „ბარსასთან“ შინ წაგებით დაიწყეს, „პანათინაიკოსი“ კი „უდინესთან“ 3:0 განადგურდა. „აპოსტოლოს ნიკოლაიდისის“ არენას მძიმე ჯახი მოელის...

**ლადო ხომერიკი**

# 37 წლის წინათ

1968 წლის 29 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბენფიკა“ 4:1 დაამარცხა. 37 წლის შემდეგ ამ გუნდების გზები ისევ გადაიკვეთა.

ალექს ფერგიუსონს პრობლემები მისძალებია. დაცვაში გარი ნევილი, გაბრიელ ჰაინცე და უესლი ბრაუნი დაკლდება, ნახევარდაცვაში — როი კინი და კუინტონ ფორჩუნი, ხოლო მთავარი სატკივარი უეინ რუნია, რომელიც „ვილიარეალთან“ გააძევეს. გასული სეზონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმეგოლემ, 19 წლის რუნიმ აფრები აუშვა და თითქმის ყოველ მატჩში უხეშობს, ან მსაჯებს ეკამათება. მისი მოთოკვა შოტლანდიელმა მწვრთნელმაც ვერ შეძლო.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბენფიკას“, სავარაუდოდ, ვან ნისტელროი-სმიტის დუეტით შეუტევს. გარი ნევილის ადგილს კირან რიჩარდსონი დაიკავებს, ხოლო როი კინის მაგივრად დარენ ფლეტჩერი ითამაშებს.

ალექს ფერგიუსონმა „ბლექბერნთან“ მარცხის შემდეგ დაიჩივლა, ამდენი საგოლე მომენტების გამოუყენებლობა დაგვღუპავსო. „ახლა დროა, რომ „ბენფიკასთან“ შეცდომები გამოვასწოროთ“ — თქვა მწვრთნელმა.

„ბენფიკამ“ ჩემპიონატში „პენაფიელს“ 3:1 მოუგო. ლისაბონელთა ფორვარდმა ნუნუ გომეშმა ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში ხუთი შეაგდო. „ძალიან კარგ ფორმაში ვარ და გოლების გატანას გავაგრძელებ“ — განაცხადა გომეშმა, ხოლო მწვრთნელმა რონალდ კუმანმა დასძინა: „სეზონი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ ბოლო სამი მატჩი ზედიზედ მოვიგეთ და ვითარება გამოვასწორეთ. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაცვაში კარგად თამაში საკმარისი არ იქნება. უნდა შევუტიოთ და მოგებას ვეცადოთ. „ოლდ ტრეფორდზე“ გამარჯვება დიდებული შედეგი იქნება, თუმცა ფრეზეც არ ვიტყოდი უარს“.

ბენფიკელთა ნახევარმცველ სიმაო საბროსას მიაჩნია, რომ მანჩესტერელები ამჟამად დასუსტებულნი არიან და პორტუგალიელებს მოგების შანსი აქვთ: „კინის, ჰაინცეს, ნევილისა და რუნის გარეშე „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფავორიტად აღარ ითვლება. ვან დერ საარი კარგი მეკარეა, მაგრამ დაცვაში ცუდად აქვთ საქმე. „ბლექბერნმა“ აჩვენა, რომ ამ გუნდის ძლევა შესაძლებელია“.

მანჩესტერელები ჩემპიონთა ლიგის ბოლო 24 საშინაო მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ — გასულ გაზაფხულზე მათ „მილანმა“ მოუგო.

„ლილის“ სტადიონი უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ გუნდი „ვილიარეალს“ პარიზის „სენ დენიზე“ უმასპინძლებს — ცხადია, შინ თამაში გვერჩივნა, მაგრამ „სენ დენი“ თითქოს მეთიურია და აქ თამაშის პატივი რაკი გვერგო, მოსაგებად ვეცდებით“ — განაცხადა მასპინძელთა მცველ ბოდმერმა — რომც წავაგოთ, არ მგონია, ჯგუფიდან გასვლის შანსი დავკარგოთ, რადგან კიდევ ოთხი მატჩი გვრჩება. ჩემი აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფავორიტია და ეს გუნდი დანარჩენ სამს აშკარად აღემატება, „ვილიარეალი“ კი „ბენფიკას“ ჰგავს, მათ ხომ ბევრი სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ჰყავთ“.

„ლილი“ ისტორიაში ესპანურ გუნდებს სამჯერ გადაეყარა და ჯერ არ წაუგია. ოთხი წლის წინ „დეპორტივოს“ ორჯერ დაუზავდა ჩემპიონთა ლიგაში, შარშან კი უეფას თასზე შინ „სევილიას“ 1:0 მოუგო.

„ვილიარეალმა“, რომელიც ფრანგებს აქამდე არ შეხვედრია, ბოლო შვიდი გასვლითი ევრომატჩიდან ორი მოიგო და ხუთჯერ ფრეს მიაღწია.

**ვაჟა ხუციშვილი**



პორტუგალიურ გუნდში იტალიელი ფაბრიციო მიკოლიც ყოჩაღობს

# მანჩესტერი ნაუქმევს



კარლუშ კეირუში



ალექს ფერგიუსონი

**შაბათს**, „ბლექბერნთან“ წაგებული მატჩის შემდეგ, ალექს ფერგიუსონს ორი მანჩესტერელი ფანი მიეჭრა და ცემა დაუპირა. ოღონდაც, ეს საქმე საერთოდ არ გამოუვიდათ, რადგან კარგა ხანია, რაც ფერგი პირადი მცველებით გარშემორტყმული დაიარება.

„ოლდ ტრეფორდზე“ გვარიანად გამწარებულნი არიან იმით, რომ გუნდი უკვე ათი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ჩელსის“ და მენეჯერისგან ტაქტიკურ ცვლილებებსა და შემადგენლობის გადახედვას მოითხოვენ.

გაზეთებს ელაპარაკა ტრავმირებული ვეტერანი გარი ნევილი, რომელმაც თქვა, „ჩელსის“ დევნასა და ჩემპიონობაზე ფიქრი სისულელეა, სანამ ჩვენ თავად არ მოვწესრიგდებითო.

მან თქვა: „ორი ფრე და ერთი წაგება წინ ვერ წაგვიყვანს. მაგრამ ჩვენ მიზეზი ვიცით და მას გამოვასწორებთ“.

მსგავსი რამ თქვა სერ ალექსმაც „ბლექბერნთან“ წაგების შემდეგ. „ჩვენი თამაში უნდა დავიბრუნოთ“, განაცხადა ფერგიმ.

„ბლექბერნს“ 43 წელიწადი იყო სტუმრად არ მოეგო „მანჩესტერისთვის“. საკუთარი კედლებიდან სტვენით გაცილებაც არ არის ყურსშეჩვეული ამბავი ამ კლუბის ფეხბურთელთათვის. არადა, შაბათს სწორედ ასე მოხდა. ტაქტიკა, რომლითაც „მანჩესტერმა“ პრემიერლიგის შვიდი ტური განვლო, ფერგიუსონის მარჯვენა ხელის, „რეალის“ ყოფილი მწვრთნელის კარლუშ კეირუშის შემუშავებულია და ფეხბურთელებს ის არ მოსწონთ. ფანებს კი ახსნა-განმარტებები ყელში ამოუვიდათ.

კეირუში ფილოსოფიურად პასუხობს: „ხის ძირას ჯდომა და სხვის მიერ დაკარგული ქულების თვლა სწორი არ არის. რას იზამ, როცა მდინარის დინება ძალიან ძლიერია, შენ კი მის საწინააღმდეგოდ მიცურავ? ვერ მოერევი. ბლექბერნისთვის დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, ჩვენ კი წავაგეთ. ჩვენი დღე არ იყო“.

ფერგი კი სრულიად მოულოდნელად სულ სხვა საკითხზე გადაერთო. მან თქვა, რომ ლონდონის კლუბები იმის მიხედვით ცვლიან ბილეთების ფასს, თუ ვინ ჩადის მათთან: „მაგალითად, ჩვენ რომ „ჩელსის“ ვსტუმრობთ, ნამდვილი ფანი სტადიონზე იღბლად თუ მოხვდება. ეს უნდა აიკრძალოს. შეიძლება, სტადიონი იაფი ბილეთითაც ვერ გაავსო, მაგრამ, ეს უკვე სხვა საქმეა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჰამბურგმა ბაიერნი შეაშინა



„ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელი თომას დოლი

**თომას** დოლის „ჰამბურგმა“ ბუნდესლიგას ინტრიგა დაუბრუნა და გუნდი, რომლის წარმატებას ყველა ამჩნევდა, მაგრამ სერიოზულად მაინც ცოტა თუ აღიქვამდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში, მოექცა. ჰამბურგელებს დიდი ხანია არ ახსოვთ წაგება რა არის და აგერ „ბაიერნს“ ისე მოუგეს, ფაქტობრივად შანსიც არ მიუციათ.

„ჰამბურგთან“ მარცხმა ძალიან გააბრაზა „ბაიერნის“ კარის დარაჯი ოლივერ კანი. ფიცხი ხასიათის მქონე გოლკიპერმა მეტოქის სიხარული ვერ აიტანა: „ისინი ისე ხარობდნენ, თითქოს უკვე ჩემპიონატი მოეგოთ. არადა, პირველ ადგილზე ისევ ჩვენ ვართ და ვნახოთ ვინ გაიხარებს მაისში“.

კანის კბილებში გამოცრილი სულაც არ სწყენიათ ჰამბურგში. პირიქით, გუნდის სპორტულმა დირექტორმა დიტმარ ბაიერსდორფერმა ეს კომპლიმენტად მიიღო: „კანის სიტყვები ნიშნავს, რომ მიუნხენელები უკვე სერიოზულად გვიყურებენ და ეს სასიამოვნოა. აქამდე, ისინი თავიანთ კონკურენტებად მხოლოდ „ვერდერსა“ და „ლევერკუზენს“ სცნობდნენ ხოლმე“.

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა კი ბრძანა: „ჰამბურგი“ ახლა ჩვენი მთავარი კონკურენტია ჩემპიონობისთვის ბრძოლაში“.

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ მარცხით „ბაიერნის“ თხუთმეტმატჩიანი მოგებების სერია შეწყდა, ხოლო „ჰამბურგს“ უკვე 17 თამაშია არ წაუგია.

ამასობაში მათიას ზამერმა „ლევერკუზენის“ გაწვრთნაზე უარი განაცხადა: „ფარმაცევტები“ ახალი თავკაცის ძიებას აგრძელებენ იქამდე კი პოსტზე კვლავ რუდი ფიოლერი რჩება.

„ლევერკუზენის“ წინადადება მართლაც მესიამოვნა და ჩემთვის ძალიან საპატიოა. გარკვეული დრო ვიფიქრე კიდევაც, მაგრამ გადავწყვიტე არ დავთანხმდე. სამწვრთნელო კარიერას ალბათ გერმანიის მიღმა გავაგრძელებ. მინდა, საჭირო პრაქტიკა და გამოცდილება მივიღო“ — თქვა ზამერმა.

„შტუტგარტის“ თავკაცს ჯოვანი ტრაპატონის კი საკუთარი თავის და გუნდის ისევ სჯერა. იტალიელი სპეციალისტი გასულ უქმეებზე მოპოვებულმა 3 ქულამ მოალონიერა და მანაც ქომაგები დააიმედა, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ჯოვანი ტრაპატონი: „კარიერაში 21 ტიტული მაქვს მოპოვებული და ჩემი თავის მჯერა. მესმის, რომ გულშემატკივარს მხოლოდ გამარჯვება უნდა, მაგრამ გუნდის აწყობას თითქმის ხელახლა ვიწყებთ. თანაც ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეებიც მრავლად გვყავს. თუმცა განწყობა ოპტიმისტურია და მალე ყველაფერი მოგვარდება“.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ „დორტმუნდის“ ჩეხმა ფორვარდმა იან კოლერმა „მაინცთან“ მატჩში მუხლის ჯვარედინი მყესები დაიშავა და ექვსი თვე ველარ ითამაშებს.

**ძოძი ძანძელაძი**



ელექტრონული ბიბლიოთეკა

პაოლო მალდინი რეკორდსმენია

# პაოლო ძე ჩეზარესი, მამა კრისტიანისა წინ 1948–56 წლებია

**პაოლო მალდინიმ** სერია A-ში 571-ე მატჩი ითამაშა ანუ რეკორდი დაამყარა. რაც შეეხება წინა რეკორდს, ის, ადრეც გაუწყებდით, რომ „იუვენტუსის“ ლეგენდარულ მეკარეს, დინო ძოფს ეკუთვნოდა. და რამდენი ხანი დასჭირდა დიდ მილანელს ძოფის რეკორდის მოხსნისათვის? მან თავისი ქვეყნის უმაღლეს ლიგაში პირველად 1985 წლის 20 იანვარს ითამაშა, ასე, რომ 571 თამაშს ფაქტობრივად 20 წელიწადი დასჭირდა.

„მართალია მუხლები დამიბერდა, მაგრამ სული ბავშვური შემრჩა, — უთხრა რეკორდსმენმა ჟურნალისტებს, და იქვე გამოუტყდა — ყველაფრის მიუხედავად მოედანზე ყოფნას ახლანდელი კონტრაქტის ამოწურვამდე ანუ 2007 წლის 30 ივნისამდე ვაპირებ“.

სტატისტიკოსებმა დააზუსტეს, რომ მატჩი, რომელიც მალდინისთვის სერია A-ში 571-ე იყო, „მილანის“ შემადგენლობაში 801-ე ოფიციალური გახლდათ.

„ამაყი ვარ, რომ ორშაბათიდან „მილანის“ ბავშვთა სკოლაში ვარჯიშს ჩემი ვაჟი, კრისტიანი იწყებს“ — დასძინა არანაკლებ ლეგენდარული მამის, „მილანის“ ოდინდელი კაპიტნის, ჩეზარე მალდინის ვაჟმა.

შავ-წითლების ვიცე-პრეზიდენტი, ადრიანო გალიანი: „რა შეიძლება ვთქვა პაოლო მალდინიზე ისეთი, რაც აქამდე არ მითქვამს? ადამიანი ერთ გუნდში 20 წელიწადია თამაშობს... ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი რამ საერთოდ სპორტში ოდესმე განმეორდება. ის ამბობს, რომ 2007 წლამდე უნდა მოედანზე დარჩენა, მაგრამ მე მსურს მოველაპარაკო და ვადა კიდევ ერთი წლით გავუხანგრძლივო. როდესაც პაოლო მოედნიდან წავა, წავა მისი მესამე ნომრიანი მაისურაც, ოღონდ — მისი ვაჟის კრისტიანის დიდ „მილანში“ მოსვლამდე“.

და კიდევ ერთი, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი საიუბილეო აღმოჩნდა შავ-წითელთა უკრაინელი ფორვარდისთვის, ანდრეი შევჩენკოსთვისაც. შევჩენკოსთვის, „ტრევიზოს“ კარში გატანილი გოლი 150-ე გახლდათ „მილანის“ შემადგენლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შევჩენკომ ხოსე ალტაფინის შედეგი გაიმეორა და შავ-წითელ ისტორიულ ბომბარდირთა სიაში მასთან ერთად მესამეა. შემდეგი მიზანი ჯანი რივერას 164 გოლის გამეორება იქნება, სიის მწვერვალზე კი ლეგენდარული გუნარ ნორდალია, რომელმაც 1948-56 წლებში „სან სიროს“ გუნდის გასახარად 221 გოლი გაიტანა.

აქვე დავამატოთ, იტალიელმა ჟურნალისტებმა გასული ტურის საუკეთესო ფეხბურთელად „ფიორენტინას“ გოლკიპერი სებასტიან ფრეი აღიარეს. ფრანგმა თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ბრწყინვალედ იბურთავა. მან „ინტერის“ მოთამაშეებს რამდენიმე ურთულესი ბურთი აუღო.

რაც შეეხება საუკეთესო გოლს, იგი რეჯინელ ფრანჩესკო კოცას მიაწერეს. კოცა ჩინებულად გაუსწორდა რამდენიმე უდინელს და შორეულ მაღალ კუთხეში ზუსტი დარტყმით მორგან დე სანქტისი უშანსოდ დატოვა.

**პაპუნა ძედია**



ანდრეი შევჩენკომ შავ-წითელი მაისურით 150 გოლი გაიტანა

# გულუხვი აპერტურა და დაჩაგრული რივერ პლეიტი

## არგენტინა

### აპერტურა. VIII ტური

**ველესი 1:0 ნიუელსი**
1:0 კასტრომანი (3)
გაძევება: სპოლი (84, ნიუელსი)

**როსარიო 0:3 ხიმნასია ლპ**
0:1, 0:2, 0:3 ვარგასი (50, 53, 55)
გაძევება: კალგარო (44, როსარიო)

**ინდეპენდიენტე 1:0 ტირო ფედერალი**
1:0 ფრუტოსი (93)
გაძევება: აგუერო (90, ინდეპენდიენტე)

**ხიმნასია ხ 2:2 კოლონი**
1:0 სერისუელა (14), 1:1 დენისი (19), 2:1 სერისუელა (67), 2:2 ლუსენჰოფი (89)

**არსენალი 1:1 ბანფილდი**
1:0 პირისი (42), 1:1 გალვანი (59)

**ესტუდიანტესი 1:0 რივერ პლეიტი**
1:0 კალდერონი (76)

**ლანუსი 1:1 ხუნიორსი**
1:0 არკუბი (40), 1:1 პისკულიჩი (47)

**ოლიმპო 1:0 კილმესი**
1:0 მაჯოლო (85)

**ინსტიტუტო 2:0 სან ლორენსო**
1:0 პილიპაუსკასი (15), 2:0 ბერგესიო (27)

**ბოკა ხუნიორსი 2:0 რასინგი**
1:0 დიასი (20), 2:0 პალასიო (40)
გაძევება: კარუპოვიესა (67, ბოკა ხუნიორსი)

**ალფიო ბასილეს** „ბოკა ხუნიორსმა“ კვირას აველანდს „რასინგი“ ისტუმრა და როდრიგო პალასიოსა და დანიელ დიასის გოლებით 2:0 დაამარცხა. ამრიგად, გილიერმო რივაროლას შეგირდებთან მოპოვებული 3 ქულით „ბოკას“ გაუჩოებმა თავიანთი მარაგი შეივსეს და აპერტურას ცხრილის სათავესაც დაეპატრონენ.

„ლა ბონბონერას“ ჯახი ბაზილეს ბიჭების შეტევებით დაიწყო, თუმც სუსტად მოთამაშე „რასინგის“ დაცვის მიუხედავად, მომხვდურთა კართან ბევრი ჩახიფათო ეპიზოდი არ შექმნილა. მე-20 წუთზე ფედერიკო ინსუამ მეტოქის საჯარიმოში ბურთი იღბლიანად ჩაჰკიდა, იქ კი ყველას დანიელ დიასმა დაასწრო და გუსტავო კამპანუოლის ლაზათიანი თავურით გაუტანა. მე-40 წუთზე კი „რასინგის“ ხუან მანუელ ტორესის შეცდომით როდრიგო პალასიომ მშვენივრად ისარგებლა და ტაბლოზე ანგარიში უკვე 2:0 გახდა.

გარდა ამისა, იერიშებში კარგი მონაწილეობით თავი პირველ ტაიმში იგივე პალასიომ, მარტინ პალერმომ, სებასტიან ბატალიამ და დანიელ ბილოშმაც გამოიჩინეს, თუმცა სტუმრების კარის შელეწვა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო.

67-ე წუთზე არბიტრმა უხეში თამაშისთვის „ბოკას“ მცველი კარუპოვიესა მოედნიდან გააძევა, ოღონდ ავი ბედისა და ადგილობრივი გუნდის თავგანწირული წინააღმდეგობის გადამკიდე, „რასინგმა“ სასიკეთო ვერაფერი მოახერხა.

„კლუბში აუტანელი მდგომარეობაა შექმნილი. „რასინგის“ წარუმატებლობას ყველა მე მაბრალებს, ფეხბურთელთა უდისციპლინობაზე კი არავის არაფრის გაგონება არ სურს. ასე თუ გაგრძელდა, უფროსობას ვურჩევ, სხვა მწვრთნელი მონახონ“ — განაცხადა „კლარინთან“ საუბარში გალიერმო რიკაროლამ.

ბოლო სამი ტურია, სენიორ გალიერმოს გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აიღო და „რასინგის“ ხელმძღვანელობაც მის რჩევას ალბათ აუცილებლად გაითვალისწინებს.

„ბოკას“ მტერი, მეორე არგენტინელი გრანდი „რივერ პლეიტი“ კი „ესტუდიანტესთან“ გასვლაზე წაგების მერე სატურნირო ცხრილის მეთორმეტე ადგილზეა გაჭედილი. რეინალდო მერლოს „რივერს“ ზედიზედ სამი მარცხი დაუგროვდა, თანაც „მონუმენტალის“ დათარსული გაუჩოები უკვე 270 წუთია, გოლის გატანას ვერ ახერხებენ. „სტუდენტთაგან“ კი შინაურ არენაზე ხოსე ლუის კალდერონმა გაილაღა. მატჩის 76-ე წუთზე ხოსემ იმ თამაშში გამარჯვების, საერთოდ კი არგენტინულ უმაღლეს ლიგაში თავისი რიგით მეასე ბურთი შეაგდო. „რივერ პლეიტს“ მძაფრი კრიზისი ტანჯავს. ასეთი მწირი მონაგარი (აპერტურასა მერვე ტურისთვის ოდენ 8 გატანილი გოლი), „მილიონერებს“ 1998 წლის ჩემპიონატის მერე არ ახსოვთ.

კორდობას „ინსტიტუტომ“ მოულოდნელად აქამდე სტაბილურად მოთამაშე „სან ლორენსოს“ ურუგვაელი ლეონელ პილიპაუსკასის და პატაგონიელი გონსალო ბერხესიოს გატანილი ბურთებით 2:0 მოუგო. კარლოს ლეების „ბანფილდი“ კი გამარჯვებისთვის მებრძოლ „არსენალს“ გასვლით მატჩში გადაურჩა — „სარანდის არენაზე“ არსენალი ალვესმა დააწინაურა. თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში რუბენ გალვანმა საყაიმო ბურთი შეაგდო.

სანტა ფეს „კოლონს“ ხუხუის, „ხიმნასიასთან“ ბრძოლაში ახალი მწვრთნელი ედგარდო ბაუსა თავკაცობდა. მატჩი გულუხვი გამოდგა. „კოლონიდან“ გატანა ხერმან დიასმა და ფედერიკო ლუსენჰოფმა შეძლეს, მასპინძელთა მეგოლე კი ხუან სერისუელა გახლდათ. საბოლოოდ საბრძოლო ფრე — 2:2. არგენტინულ სპორტულ მედიას კი ამასობაში გონსალო ვარგასი მოსწონებია, ლა პლატას „ხიმნასიას“ ურუგვაელი მოიერიშე. მან „როსარიო სენტრალს“ გასვლაზე 5 წუთში 3 ბურთი გაუტანა და ფაქტობრივად თამაში პირადად მოიგო (0:3) და გაზეთებშიც მასზე დიდი ალტაცებით საუბრობენ.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| ველესი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:5 | 16 |
| ბანფილდი | 8 | 4 | 4 | 0 | 12:5 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 8 | 4 | 3 | 1 | 15:8 | 15 |
| სან ლორენსო | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 15 |
| ხუნიორსი | 8 | 4 | 3 | 1 | 7:4 | 15 |
| ესტუდიანტესი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:6 | 13 |
| არსენალი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:9 | 12 |
| ოლიმპო | 8 | 2 | 5 | 1 | 8:7 | 11 |
| რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| კილმესი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| რივერ პლეიტი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:10 | 10 |
| ხიმნასია ლპ | 8 | 3 | 1 | 4 | 9:12 | 10 |
| როსარიო | 8 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 |
| ინსტიტუტო | 8 | 1 | 5 | 2 | 3:7 | 8 |
| ლანუსი | 8 | 1 | 5 | 2 | 9:14 | 8 |
| ხიმნასია ხ | 8 | 1 | 3 | 4 | 9:13 | 6 |
| ოლდ ბოისი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | 6 |
| კოლონი | 8 | 1 | 2 | 5 | 11:18 | 5 |
| ტირო ფედერალი | 8 | 0 | 0 | 8 | 4:14 | 0 |






„ბოკა ხუნიორსის“ პირველი გოლი დანიელ დიასის ანგარიშზეა

# ადრიანო ინტერში 2010 წლამდე რჩება

**ბრაზილიელმა** ვარსკვლავმა „ინტერთან“ კონტრაქტი გააგრძელა. თავდაპირველი ხელშეკრულებით, ადრიანო კლუბის კუთვნილება 2008 წლის ივნისამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს მხარეებმა ეს შეთანხმება ორი წლით გაახანგრძლივეს. ამით წერტილი დაესვა ჭორებს ფეხბურთელის „რეალსა“ და „ჩელსიში“ სავარაუდო გადაბარგების შესახებ.

ადრიანო ბებერ კონტინენტზე 2001 წელს გადავიდა. „ფლამენგოს“ ყოფილმა მოთამაშემ თავდაპირველად „ფიორენტინასა“ და „პარმას“ მაისურები მოირგო, 2004 წლის იანვარში კი „ნერო ადზურის“ შეუერთდა. ამჟამად იგი „ინტერის“ საუკეთესო ფეხბურთელი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ფორვარდია.

ვთქვათ ისიც, რომ ადრიანოს მიერ შავ-ლურჯებთან კონტრაქტის გაგრძელება ეროვნულ ნაკრებში მის თანაგუნდელ კაკას მიერ „მილანთან“ ხელშეკრულების ხუთი წლით გახანგრძლივებას დაემთხვა.

**ზურაბ გოცირიძე**

# მესის ნება დართეს

„**ბარსელონას**“ ახალგაზრდა არგენტინელ ვარსკვლავ ლეო მესის შეძენით ესპანური „სევილიას“ თავკაცები დაინტერესდნენ. მოგეხსენებათ, 18 წლის მესი პასპორტთან დაკავშირებით ბიუროკრატიული პრობლემების გამო ჯერჯერობით კატალონიური გრანდის შემადგენლობაში პრიმერადივიზიონში ბურთაობას ვერ ახერხებდა, თუმცა გუშინ ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდა და მას ამიერიდან ესპანეთის ჩემპიონატშიც შეუძლია თამაში. აქედან გამომდინარე ძნელად სავარაუდოა მესიმ „ნოუ კამპიდან“ ფეხი მოიცვალოს, მაგრამ სევილიელთა ინტერესზე მაინც ვთქვათ.

მედიის ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და თუ დაინტერესებული მხარეები მორიგდნენ, ლეო მესი სენიორ რამოსის შეგირდი ზამთრის სატრანსფერო ბაზრის პერიოდში გახდება. „სევილიას“ ჟულიო ბაპ-ტისტასა და სერხიო რამოსის „რეალში“ გაყიდვის შემდეგ ფულიც აქვს და შევსებასაც საჭიროებს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ მესიმ „ბარსელონასთან“ კონტრაქტი დაახლოების ერთი კვირის წინ 2014 წლამდე გააახანგრძლივა. ხოლო თუ ვინმეს „ბარსას“ თანხმობის გარეშე მისი გამოსყიდვა უნდომება 150 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**

## ბრაზილია

### სერია A. XXVIII ტური

ბრაზილიენსე — სანკაეტანო 1:1; სან პაულუ — პაისანდუ 4:1; ფორტალესა — პარანა 2:2; პონტეპეტრა — კრუზეირო 2:3; ჟუვენტუდე — ბოტაფოგო 0:0; ფლამენგო — კორინთიანსი 1:3; ფიგეირენსე — ატლეტიკო პრ 2:0; კურიტიბა — ვასკო 2:0; პალმეირასი — გოიასი 3:1; ფლომინენსე — სანტოსი 4:3; ატლეტიკო მნ — ინტერნასიონალი 1:1

## აშშ

### მეიჯორლიგა. XXIX ტური

ნიუ ინგლანდი — ნიუ იორკი 1:0; სოლტ ლეიკი — კოლუმბუსი 1:2; ჩივასი — კოლორადო 1:3; სან ხოსე — დალასი 1:1; ლოს ანჯელესი — კანზასი 2:1

## მექსიკა

### აპერტურა. IX ტური

ვერაკრუსი — სანტოსი 2:2; კრუს ასული — დორადოსი 2:2; მონტერეი — ტიგრესი 2:1; მორელია — პუმასი 2:2; ატლასი — ხაგუარესი 0:0; სან ლუისი — ჩივასი 1:2; პაჩუკა — ანტლანტე 3:2; ტეკოსი — ტოლუკა 1:2; ამერიკა — ნეკაქსა 4:1

## იაპონია

### ჯეილიგა

### XXV ტური

კავასაკი — ომია 2:1; ურავა — იოკოჰავა 0:0; კობე — ტოკიო ვერდი 1:1; ივატა — კაშივა 1:0; იჩიჰარა — შიმიცუ 2:1; გამბა — კაშიმა 3:3; ნაგოია — სერესო 1:3; ტოკიო — ოიტა 0:0; ნიიგატა — ჰიროშიმა 0:1

# სარბიელი და კროკი


## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. ჩემპიონატი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 12 | ბარნსლი-იფსვიჩი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 22:45 | 13 | ქრიუ-ვულვერჰემპტონი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 22:45 | 14 | ლესტერი-ბრაიტონი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:45 | 15 | ლუტონი-პრესტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 22:45 | 16 | მილუოლი-ქპრ | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 22:45 | 17 | ნორვიჩი-ჰალი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 22:45 | 18 | შეფილდი-პლიმუთი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 22:45 | 19 | სტოკი-კარდიფი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:00 | 20 | კრისტალ პალასი-უენსი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 21 | ლიდსი-დერბი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 22 | საუთჰემპტონი-რედინგი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 22:45 | 23 | ქოვენტრი-უოტფორდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |

**ინგლისი. I ლიგა**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 36 | უოლსოლი-ბრენტფორდი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 37 | საუთენდი-იოვილი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:45 | 38 | დონკასტერი-სუინდონი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:45 | 39 | ჯილინგემი-ჩესტერფილდი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 40 | ჰარტლპული-როტერჰემი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 22:45 | 41 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 22:45 | 42 | დონსი-სკანთორპი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 22:45 | 43 | ნოტინგემი-ბლეკპული | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 44 | ბორნმუთი-სუონსი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 45 | ბრედფორდი-კოლჩესტერი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 22:45 | 46 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1.90 | 3.30 | 3.45 | 1.20 | 1.22 | 1.68 |

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 47 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |

**ინგლისი. II ლიგა**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 59 | დარლინგტონი-ბოსტონი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 22:45 | 60 | გრიმსბი-ნოტსი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 22:45 | 61 | როჩდეილი-ოქსფორდი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 22:45 | 62 | რაშდენი-ნორთჰემპტონი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 63 | შრუსბერი-ბარნეტი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 22:45 | 64 | ჩელტენემი-პიტერბრო | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 22:45 | 65 | ჩესტერი-კარლაილი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 66 | ლეიტონი-ტორკი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 22:45 | 67 | ლინკოლნი-სტოკპორტი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:45 | 68 | მაკლსფილდი-მენსფილდი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 22:45 | 69 | უიკომბი-რექსემი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 22:45 | 70 | ბერი-როვერსი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |

**ინგლისი. კონფერენსი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 83 | კემბრიჯი-ბარტონი | 1.85 | 3.30 | 3.45 | 1.18 | 1.20 | 1.68 |
| 22:45 | 84 | კონვი-სტივენიჯი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 22:45 | 85 | ქროული-კიდერმინსტერი | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 22:45 | 86 | დაგ ენდ რედი-გრეისი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 22:45 | 87 | ექსეტერი-უოკინგი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 22:45 | 88 | ალდერშოტი-ჰერეფორდი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 22:45 | 89 | გრეივსენდი-ფორესტ გრინი | 1.80 | 3.20 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.72 |
| 22:45 | 90 | მორკომბი-აკრინგტონი | 2.05 | 3.40 | 3.00 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 22:45 | 91 | სკარბორო-საუთპორტი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 92 | ტემუორთი-იორკი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 93 | ჰალიფაქსი-ალტრინჰემი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |

**იტალია. სერია B**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 199 | პესკარა-ტორინო | 3.20 | 2.70 | 2.30 | 1.46 | 1.33 | 1.24 |

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 200 | ჩესენა-რიმინი | 2.15 | 2.80 | 3.30 | 1.21 | 1.30 | 1.51 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 281 | დაინცე-ტუბეკე | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 437 | ელფსბორგი-სუნდსვალი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.20 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.91 |
| 22:45 | 553 | იუვენტუსი-რაპიდი | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 22:45 | 554 | აიაქსი-არსენალი | 2.65 | 3.00 | 2.55 | 1.40 | 1.29 | 1.37 |
| 22:45 | 555 | თუნი-სპარტა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:45 | 556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 22:45 | 557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| 22:45 | 558 | ლილი-ვილიარეალი | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 22:45 | 559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |

**28 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 560 | შალკე-მილანი | 3.05 | 3.00 | 2.30 | 1.51 | 1.31 | 1.30 |
| 22:45 | 561 | ფენერბაჩე-პსვ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:45 | 562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:45 | 563 | როზენბორგი-ლიონი | 4.85 | 3.30 | 1.70 | 1.96 | 1.25 | 1.12 |
| 22:45 | 564 | ლივერპული-ჩელსი | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:45 | 565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 22:45 | 567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

**შოტლანდია. თასი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 633 | სტ.მირენი-მორტონი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 634 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 2.00 | 3.40 | 3.00 | 1.25 | 1.20 | 1.59 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 704 | ლულეო-ლინჩიოპინგი | 2.30 | 4.50 | 2.10 | 1.52 | 1.09 | 1.43 |
| 21:00 | 705 | მოდო-ფრიოლუნდა | 2.55 | 4.50 | 2.00 | 1.62 | 1.12 | 1.38 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 721 | იოკერიტი-კალპა | 1.35 | 5.00 | 4.80 | 1.06 | 1.05 | 2.44 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 735 | ტრჟინეცი-პარდუბიცე | 2.40 | 4.20 | 2.10 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| 19:00 | 736 | ვსეტინი-ზნოიმო | 2.45 | 4.20 | 2.05 | 1.54 | 1.11 | 1.37 |
| 19:30 | 737 | ლიტვინოვი-ზლინი | 2.60 | 4.20 | 1.95 | 1.60 | 1.11 | 1.33 |
| 19:30 | 738 | კარლოვი ვარი-სლავია | 3.10 | 4.20 | 1.75 | 1.78 | 1.11 | 1.23 |
| 19:30 | 739 | ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე | 1.95 | 4.20 | 2.65 | 1.33 | 1.12 | 1.62 |
| 20:30 | 740 | ლიბერეცი-პლზენი | 1.50 | 4.50 | 3.95 | 1.12 | 1.08 | 2.10 |
| 20:30 | 741 | სპარტა-კლადნო | 1.65 | 4.20 | 3.50 | 1.18 | 1.12 | 1.90 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 756 | კოშიცე-ტრენჩინი | 2.00 | 4.00 | 2.55 | 1.33 | 1.12 | 1.55 |
| 19:00 | 757 | მიკულაში-ზვოლენი | 2.25 | 3.80 | 2.30 | 1.41 | 1.13 | 1.43 |
| 19:00 | 758 | ჟილინა-ნიტრა | 2.20 | 3.80 | 2.35 | 1.39 | 1.13 | 1.45 |
| 19:00 | 759 | მარტინი-სკალიცა | 2.25 | 3.80 | 2.30 | 1.41 | 1.13 | 1.43 |
| 19:00 | 760 | პოპრადი-სლოვანი | 2.25 | 3.80 | 2.30 | 1.41 | 1.13 | 1.43 |

**ჰოკეი. გერმანია**

**27 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 771 | კიოლნი-ფრანკფურტი | 2.05 | 4.50 | 2.40 | 1.40 | 1.10 | 1.56 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 772 | კასელი-იზერლონი | 1.85 | 4.50 | 2.85 | 1.31 | 1.12 | 1.74 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **27 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 787 | ციურიხი-კლოტენი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 21:45 | 788 | ბაზელი-რაპერსვილი | 2.30 | 4.00 | 2.20 | 1.46 | 1.12 | 1.41 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **27 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 802 | მეჩ-აკ ბარსი | 3.80 | 4.80 | 1.55 | 2.12 | 1.10 | 1.17 |
| 16:30 | 803 | მაგნიტოგორსკი-სპარტაკი | 1.20 | 6.50 | 7.20 | 1.01 | 1.02 | 3.41 |
| 18:30 | 804 | ხიმიკი-ასკ | 1.75 | 4.80 | 2.80 | 1.28 | 1.07 | 1.76 |
| 15:30 | 805 | ავანგარდი-სევერსტალი | 1.40 | 5.00 | 4.50 | 1.09 | 1.06 | 2.36 |
| 18:30 | 806 | ვიტიაზი-ნეფტეხიმიკი | 2.60 | 4.70 | 1.85 | 1.67 | 1.08 | 1.32 |
| 14:30 | 807 | ნოვოკუზნეცკი-მოლოტი | 1.30 | 5.50 | 5.00 | 1.05 | 1.03 | 2.61 |
| 19:00 | 808 | დინამო-ლოკომოტივი | 1.75 | 4.50 | 2.90 | 1.25 | 1.09 | 1.76 |
| 15:30 | 809 | სიბირი-ცსკა | 1.95 | 4.70 | 2.40 | 1.37 | 1.07 | 1.58 |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 810 | ლადა-ს.იულაევი | 1.40 | 5.00 | 4.50 | 1.09 | 1.06 | 2.36 |

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| | | **ჩოგბურთი კაცები ტულსა** | | |
| | | **27 სექტემბერი** | | |
| 19:00 | 617 | დე ვოესტი-გონსალესი პ | 1.35 | 2.95 |
| 19:00 | 618 | დელიჩი-ლევი | 1.40 | 2.75 |
| 19:00 | 619 | მორისონი-ჯისეფი | 1.35 | 3.00 |
| 19:00 | 620 | ოლესნიკი-რასელი | 1.50 | 2.50 |
| 19:00 | 621 | რამი-ვაინერი | 1.75 | 1.95 |
| 19:00 | 622 | რეინოლდსი-გონსალესი ს | 1.30 | 3.55 |
| 19:00 | 623 | სა-ნიუპორტი | 1.30 | 3.40 |
| 19:00 | 624 | პარტეილდი-ლიპსკი | 1.75 | 1.95 |
| | | **ჩოგბურთი. ქალები ლუქსემბურგი** | | |
| | | **27 სექტემბერი** | | |
| 13:00 | 626 | საფინა-კრემერი | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 627 | კუკალოვა-ბენესოვა | 1.55 | 2.25 |
| 13:00 | 629 | სანტკუჩოვა-მედინა | 1.55 | 2.25 |
| 13:00 | 630 | ფარინა-სმაშნოვა | 1.90 | 1.70 |
| 13:00 | 631 | გრენეფელდი-დანილიდუ | 1.55 | 2.25 |
| 13:00 | 632 | პესკე-სტოსური | 1.45 | 2.45 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.40 | 3.00 | 10.00 | 1.00 | 1.22 | 2.30 |
| 10553 | იუვენტუსი-რაპიდი | 1.35 | 2.90 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.24 |
| 10554 | აიაქსი-არსენალი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10555 | თუნი-სპარტა | 2.75 | 2.00 | 3.50 | 1.15 | 1.53 | 1.27 |
| 10556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.55 | 2.40 | 6.00 | 1.00 | 1.23 | 1.71 |
| 10557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.55 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.26 | 1.84 |
| 10558 | ლილი-ვილიარეალი | 2.90 | 2.00 | 3.40 | 1.18 | 1.56 | 1.25 |
| 10559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 3.15 | 2.00 | 2.95 | 1.22 | 1.52 | 1.19 |
| 10560 | შალკე-მილანი | 3.50 | 2.00 | 2.75 | 1.27 | 1.53 | 1.15 |
| 10561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 2.75 | 2.00 | 3.55 | 1.15 | 1.54 | 1.27 |
| 10562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.50 | 2.90 | 9.00 | 1.00 | 1.28 | 2.19 |
| 10563 | რუსენბორგი-ლიონი | 4.70 | 2.00 | 2.25 | 1.40 | 1.52 | 1.05 |
| 10564 | ლივერპული-ჩელსი | 3.55 | 2.00 | 2.75 | 1.27 | 1.54 | 1.15 |
| 10565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.60 | 2.20 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.72 |
| 10567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.55 | 2.40 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.84 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11554 | აიაქსი-არსენალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11555 | თუნი-სპარტა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11558 | ლილი-ვილიარეალი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11560 | შალკე-მილანი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11563 | რუსენბორგი-ლიონი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11564 | ლივერპული-ჩელსი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16554 | აიაქსი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 16555 | თუნი-სპარტა | 1.60 | 2.00 |
| 16556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.10 | 4.50 |
| 16557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.10 | 4.50 |
| 16558 | ლილი-ვილიარეალი | 1.60 | 1.95 |
| 16559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 16560 | შალკე-მილანი | 1.95 | 1.65 |
| 16561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.50 | 2.10 |
| 16562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.04 | 6.50 |
| 16563 | რუსენბორგი-ლიონი | 2.90 | 1.25 |
| 16564 | ლივერპული-ჩელსი | 1.95 | 1.60 |
| 16565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.85 | 1.65 |
| 16566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.03 | 5.00 |
| 16567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.03 | 5.50 |

### გოლი:წაგილი-1 თუ ძინტი-2 (0:0 ითვლება წაგებად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17553 | იუვენტუსი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17554 | აიაქსი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17555 | თუნი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17558 | ლილი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17560 | შალკე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17564 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.04 | 2.90 |
| 14554 | აიაქსი-არსენალი | 1.90 | 1.90 |
| 14555 | თუნი-სპარტა | 1.70 | 2.00 |
| 14556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.10 | 2.60 |
| 14557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.17 | 2.50 |
| 14558 | ლილი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 14559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 1.90 | 1.90 |
| 14560 | შალკე-მილანი | 2.00 | 1.80 |
| 14561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.75 | 2.10 |
| 14562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.05 | 2.90 |
| 14563 | რუსენბორგი-ლიონი | 2.30 | 1.50 |
| 14564 | ლივერპული-ჩელსი | 2.00 | 1.80 |
| 14565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.90 | 1.85 |
| 14566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.08 | 2.80 |
| 14567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.06 | 2.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15552 | ბაიერნი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15553 | იუვენტუსი-რაპიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15554 | აიაქსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15555 | თუნი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15556 | ბარსელონა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15558 | ლილი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15560 | შალკე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15563 | რუსენბორგი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.37 |
| 15564 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15566 | ინტერი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15567 | პორტუ-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.90 | 1.70 |
| 13553 | იუვენტუსი-რაპიდი | 1.90 | 1.70 |
| 13554 | აიაქსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13555 | თუნი-სპარტა | 1.70 | 1.90 |
| 13556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 13558 | ლილი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 1.60 | 1.95 |
| 13560 | შალკე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13564 | ლივერპული-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.60 | 1.95 |
| 13566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.90 | 1.70 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12552 | ბაიერნი-ბრიუგე | 2.10 | 1.60 |
| 12553 | იუვენტუსი-რაპიდი | 2.00 | 1.60 |
| 12554 | აიაქსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12555 | თუნი-სპარტა | 1.70 | 1.90 |
| 12556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 12558 | ლილი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 12560 | შალკე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12561 | ფენერბაჰჩე-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 2.00 | 1.60 |
| 12563 | რუსენბორგი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 12564 | ლივერპული-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 12567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.70 | 1.90 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## დევისის თასი. ნახევარფინალები 23 - 25 სექტემბერი



სლოვაკეთის ნაკრები

# დევისის თასი ახალი მფლობელის მოლოდინშია

**ამ** უიკენდზე ხორვატიის ქალაქ სპლიტსა და სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გაიმართა დევისის თასის ნახევარფინალური შეხვედრები. ყველასთვის მოულოდნელად ორივე შეხვედრაში გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს, რომლებმაც დაამარცხეს დევისის თასის ბოლო წლების გათამაშების უცვლელი ფავორიტები — რუსეთისა და არგენტინის ნაკრები გუნდები.

როგორც ხორვატიისთვის, ისე სლოვაკეთისთვისაც, ეს პირველი ფინალი იქნება მათ ისტორიაში, რაც ორივე ამ საჩოგბურთო სკოლისთვის დიდი მიღწევაა. ეს ყოველივე იმის მანიშნებელია, რომ დევისის თასს ნებისმიერ შემთხვევაში ახალი მფლობელი ეყოლება.

**სპლიტი. ხორვატია. მაგარსაფარი**

**ხორვატია — რუსეთი 3:2**

პარასკევი

მარიო ანჩიჩი — **ნიკოლაი დავიდენკო** — 5:7 4:6 7:5 4:6

**ივან ლიუბიჩიჩი** — მიხაილ იუჟნი — 3:6 6:3 6:4 4:6 6:4

შაბათი

**მარიო ანჩიჩი, ივან ლიუბიჩიჩი** — იგორ ანდრეევი, დმიტრი ტურსუნოვი — 6:2 4:6 7:6 (7:5) 3:6 6:4

კვირა

**ივან ლიუბიჩიჩი** — ნიკოლაი დავიდენკო — 6:3 7:6 (8:6) 6:4

ივო კარლოვიჩი — **დმიტრი ტურსუნოვი** — 4:6 4:6

**ხორვატებმა** მშვენივრად გამოიყენეს საკუთარი მოედნის უპირატესობა. მათ ამ შეხვედრისთვის სპეციალურად აირჩიეს სპლიტი, რომლის მოედნის საფარიც ხელს სწორედ მასპინძლების სათამაშო სტილს უწყობდა, რადგან, როგორც ანჩიჩი, ისე ლიუბიჩიჩიც მეტად ძლიერ მოწოდებას ფლობენ. რუსებს უამისოდაც არ აკლდათ პრობლემები, კერძოდ კი წინასწარვე იყო ცნობილი, რომ სპლიტში არ ითამაშებდა მათი ლიდერი მარატ საფინი, რომელმაც ვერაფრით მოირჩინა დაშავებული მუხლი (სწორედ ამ ტრავმის გამო გამოტოვა საფინმა US OPEN).

მიუხედავად ზემოთქმულისა, რუსებისთვის მაინც ყველაფერი კარგად დაიწყო. პირველ თამაშში ნიკოლაი დავიდენკომ საკმაოდ იოლად, ოთხ სეტში დაამარცხა მარიო ანჩიჩი. მაგრამ მერე ივან ლიუბიჩიჩმა სამ საათიან ტრილერში მოუგო მიხაილ იუჟნის და ანგარიში გაათანაბრა.

შაბათს წყვილთა თამაშისთვის რუსების კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, როცა იგორ ანდრეევს ნაკრების დებიუტანტი — დმიტრი ტურსუნოვი შეუწყვილა. თამაშის განმავლობაში კარგად გამოჩნდა, რომ მათ შეთამაშება აკლდათ. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა იმისა, რომ ანჩიჩ-ლიუბიჩიჩის წყვილმა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა და ხორვატია დააწინაურა 2:1.

ამის შემდეგ ხორვატებს მხოლოდ ერთი მოგებაღა სჭირდებოდათ, რომელიც ნაკრების ულაპარაკო ლიდერმა — ლიუბიჩიჩმა მოიპოვა, როცა სამ სეტში ნიკოლაი დავიდენკო დაამარცხა, ხოლო ბოლო მატჩს, რომელშიც ტურსუნოვმა ივო კარლოვიჩს მოუგო, უკვე არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ამ გამარჯვებას მთელი ხორვატია ზეიმობდა, როგორც ლიუბიჩიჩმა განაცხადა, ეს მისთვის ოცნების ახდენა იყო. განსაკუთრებით გახარებული ჩანდა ხორვატიის ნაკრების კაპიტანი ნიკი პილიჩი, მიუხედავად იმისა, რომ იგი აქამდეც იყო დევისის თასის ფინალში, როცა გერმანიის ნაკრებს კაპიტნობდა.

**ბრატისლავა. სლოვაკეთი. მაგარსაფარი**

**სლოვაკეთი — არგენტინა 4:1**

პარასკევი

**კაროლ ბეკი** — გილერმო კორია 7:5 6:4 6:4

დომინიკ ჰრბატი — **დავიდ ნალბანდიანი** 6:3 5:7 5:7 3:6

შაბათი

**კაროლ ბეკი, მიხალ მერტინაკი** — დავიდ ნალბანდიანი, მარიანო პუერტა — 7:6 (7:5) 7:5 7:6 (7:5)

კვირა

**დომინიკ ჰრბატი** — გილერმო კორია — 7:6 (7:2) 6:2 6:3

**კაროლ კუჩერა** — მარიანო პუერტა — 4:6 6:3 2:1 *(პუერტამ უარი თქვა გაგრძელებაზე)*

**სლოვაკებმა** ხორვატების მსგავსად მშვენივრად გამოიყენეს საკუთარი მოედნის უპირატესობა და არგენტინელებთან სათამაშოდ მაგარსაფარი აირჩიეს. საერთოდ, სლოვაკების ძირითადი მოთამაშეები — დომინიკ ჰრბატი და კაროლ ბეკი — საუკეთესო შედეგებს თიხნარზე აჩვენებენ, მაგრამ ვინაიდან ამ შემთხვევაში მათი მეტოქეები თიხნარის აღიარებული ფავორიტები არგენტინელები უნდა ყოფილიყვნენ, სლოვაკებმა მაგარსაფარზე თამაში არჩიეს, რამაც გაამართლა კიდეც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სლოვაკებმა მეტად დამაჯერებლად 4:1 დაამარცხეს ამ წყვილის უპირობო ფავორიტებად შერაცხული არგენტინელები.

პირველ დღეს, ბევრისთვის მოულოდნელად იოლად დათმო თავისი თამაში გილერმო კორიამ, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა კაროლ ბეკს. თუმცა, შაბათისთვის სტატუს ქვო უკვე აღდგენილი იყო, ვინაიდან დავიდ ნალბანდიანმა ოთხ სეტში დაამარცხა დომინიკ ჰრბატი და ანგარიში გაათანაბრა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს არგენტინელების პირველი და ბოლო წარმატება აღმოჩნდა.

ამის შემდეგ არგენტინელებმა თითქმის ვერანაირი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს მასპინძლებს. მათ ფაქტიურად უბრძოლველად, სამ სეტში დათმეს წყვილთა მატჩი. ვერც ნალბანდიანმა და ვერც მარიანო პუერტამ ვერ შეძლეს რაიმე ქმედითი დაპირისპირებინათ სლოვაკებისთვის.

გადამწყვეტი ქულა სლოვაკებს მოუტანა დომინიკ ჰრბატიმ, რომელმაც სამ სეტში მოუგო გილერმო კორიას.

სლოვაკისგან განსხვავებით, მეტად უსუსურად იასპარეზა არგენტინელების ლიდერმა კორიამ, რომელმაც ერთი სეტის აღებაც კი ვერ მოახერხა ორი თამაშის განმავლობაში. უკანასკნელ შეხვედრას კი, ისევე როგორ ხორვატია-რუსეთის შეხვედრაში, უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

თამაშის დამთავრების შემდეგ დომინიკ ჰრბატიმ თავის გულშემატკივრებს ერთგული ქომაგობისათვის გადაუხადა მადლობა და თავიანთი გამარჯვების უმთავრეს კომპონენტად დარბაზში არსებული ატმოსფერო დაასახელა. ჰრბატის თქმით, ეს მის ცხოვრების საუკეთესო მომენტი იყო.

სლოვაკებს ფინალის მოგების კარგი შანსი აქვთ, ვინაიდანაც ფინალი სწორედ ბრატისლავაში გაიმართება.

**ქახა ლომჯამილი**

# ქართველები შიდა კენჭისყრით იწყებენ



**სამდღიანი** საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ დღეს ბათუმის კორტებზე ტრადიციული ქალთა საერთაშორისო ტურნირი იწყება. 50 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიანი პირველობის ძირითად ბადეში მოხვედრილ 32 მოთამაშეს შორის 3 ქართველია. „ბორჯომის თასის" მომგები მაკა ჩახნაშვილი იქ საკუთარი რეიტინგით მოხვდა. 16 წლის მანანა შაფაქიძესა და 15 წლის ანა ტატიშვილს კი ორგანიზატორებმა „ვაილდ ქარდები" მისცეს.

საკვალიფიკაციო ბადის გადამწყვეტი ოთხი თამაში გუშინ, შუადღის შემდეგ ჩატარდა. არადა, დილიდანვე ისე კოკისპირულად წვიმდა, გვეგონა, მთელი დღე ჩავარდებოდა, ნაშუადღევს კი გამოიდარა და ისეთმა მზემ გამოანათა, პლაჟისკენ უფრო გაგიწევდა გული, ვიდრე კორტისკენ. თან ძირითადის კენჭისყრის მომლოდინე უცხოელების დიდი ნაწილიც ზღვისკენ დაიძრა...

სამწუხაროდ, გუშინ არც ერთ ქართველს არ უთამაშია. საკვალიფიკაციო ეტაპი რვა ჩვენებურმა დაიწყო და შვიდი პირველივე წრეში ჩარჩა. მხოლოდ სოფო შაფათავამ გააღწია მეორეში და იქ სლოვაკ დომინიკა ციბულკოვასთან დამარცხდა — 1:6, 0:6.

ძირითადი ბადის პირველი წრის შეხვედრები დღეს-ხვალ გაიმართება. დღეს კორტზე მხოლოდ უცხოელები გავლენ, ხვალ კი ჩვენთვის საინტერესო ორი შეხვედრა გაიმართება. ორი იმიტომ, რომ შაფაქიძე და ტატიშვილი კენჭისყრით ერთმანეთს პირველსავე წრეში გადაეყარნენ.

ბედის საჩუქარს ვერც მაკა ჩახნაშვილის წილს დავარქმევთ. მაკა ბათუმის ტურნირს სწორედ იმ სერბი ანა ტიმოტიჩით დაიწყებს, ვისთანაც ქართულ თასზე დამარცხდა.

**ოთარ მაღლაკელიძე** *ბათუმიდან*

## ბათუმის ქალთა ღია პირველობა
## საპრიზო 50 000 $

1 ანასტასია იაკიმოვა (1, ბელარუსი)
2 ანგელიკა როეში (გერმანია)
3 კაროლინა კოსინსკა (პოლონეთი)
4 მარინა შამაიკო (რუსეთი)
5 ვოისლავა ლუკიჩი (სერბეთი)
6 ანა ბასტრიკოვა (რუსეთი)
7 ელენა კულიკოვა (რუსეთი)
8 სანდრა ზაჰლავოვა (5, ჩეხეთი)
9 მატეა მეზაკი (3, ხორვატია)
10 ვერონიკა კაპშეი (უკრაინა)
11 ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი)
12 ოლგა პანოვა (რუსეთი)
13 ირინა კუზმინა (ლატვია)
14 ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი)
15 აურელია ვედი (საფრანგეთი)
16 ვასილისა ბარდინა (7, რუსეთი)
17 ალა კუდრიავცევა (8, რუსეთი)
18 ტატიანა პრიახინი (გერმანია)
19 ევგენია როდინა (რუსეთი)
20 მარია გეცნენგე (ბულგარეთი)
21 ირინა კოტკინა (რუსეთი)
22 ეკატერინა კოზოხინა (რუსეთი)
23 ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა)
24 ტატიანა უვაროვა (4, ბულგარეთი)
25 ეკატერინა დეჰალევიჩი (6, ბულგარეთი)
26 ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა)
27 ანა ტიმოტიჩი (სერბეთი)
28 მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო)
29 მანანა შაფაქიძე (საქართველო)
30 ანა ტატიშვილი (საქართველო)
31 კარენ პეტერსონი (დიდი ბრიტანეთი)
32 ლიუდმილა სკავრონსკაია (2, რუსეთი)

# ევროპის ჩემპიონატი 2005

## ფინალი. 25 სექტემბერი



AFP ბელგრადიდან

## საბერძნეთი 78:62 გერმანია

19:12 20:20 25:16 14:14

| საბერძნეთი | ქ | მ | პ | დ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|
| პაპალუკასი | 22 | 4 | 6 | 1 | 3 |
| სპანულისი | 1 | 1 | — | | |
| ზისისი | 13 | 4 | 1 | 1 | 2 |
| ბუდურისი | 4 | 2 | — | | 1 |
| ფოცისი | — | 1 | 1 | — | |
| ხაძივრეტასი | 8 | 2 | — | 2 | 2 |
| დიკუდისი | 8 | 1 | — | — | 1 |
| ცარცარისი | 9 | 3 | — | 1 | 1 |
| დიამანტიდისი | 2 | 5 | 3 | 1 | 4 |
| პაპადოპულოსი | — | 3 | 2 | — | |
| კაკიუზისი | 11 | 3 | 2 | 1 | |

| გერმანია | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| დემირელი | 3 | 1 | 3 | 1 | 1 |
| გარეტი | 2 | 4 | — | 2 | |
| გრინი | 2 | 6 | — | 1 | |
| პეშიჩი | 2 | 2 | 1 | 3 | |
| ვუხერერი | 6 | — | — | 2 | |
| როლერი | 4 | 1 | — | 2 | |
| ნიკაგბატსე | 2 | — | 1 | — | |
| შულცე | 5 | — | — | 1 | |
| არიგბაბუ | — | 1 | — | 1 | |
| ფემერლინგი | 11 | 2 | — | 3 | |
| ნოვიცკი | 23 | 9 | — | 4 | |
| მარასი | 2 | 1 | 1 | 1 | |

შენიშვნა: ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

# საშვილიშვილო ჩემპიონობა

## ბერძნებმა გუნდურად გაიმარჯვეს

„ოცნებაში ვარ, დედამიწაზე არ ვიმყოფები. დაუჯერებელი რაღაც მოხდა!“ — აღმოხდა ბერძენთა მწვრთნელ პანაგიოტის იანაკისს მას შემდეგ, რაც საფინალო სირენა გაისმა და მისი გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა.

არადა, სწორედ იანაკისი იყო, ტურნირის დაწყებამდე რომ ამბობდა, კარგი შედეგი იქნება, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ, ანუ ექვსეულში მოვხვდებითო.

ჰოდა, რა გასაკვირია, თუ იანაკისს რეალობის აღქმა უჭირსო, ის ჩემპიონობას სულაც არ ელოდა, ახლა კი ჰაერში აბურთავებენ, როგორც ტრიუმფატორი მწვრთნელს.

18 წლის წინათ თავად იანაკისი აბურთავებდა იმდროინდელ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელს, რაკი ელინებმა მაშინ პირველად მოიგეს ევროჩემპიონობა. იანაკისი მაშინდელი ნაკრების გამთამაშებელი იყო და კვირას მწვრთნელის ამპლუაშიც გაუგო გემო კონტინენტზე პირველობას.

სხვათა შორის, საბერძნეთისა არ იყოს, არც მის საფინალო მეტოქე გერმანიის ნაკრებს თვლიდნენ ტურნირის ფავორიტად. გერმანელები ჩემპიონატის უძვირფასესად დასახელებული დირკ ნოვიცკის იმედად იყვნენ, რომელმაც ყველა პრინციპული მატჩი მოაგებინა თავისიანებს, გარდა ფინალისა.

ისე, არც ფინალში ჩაუმუხლავს ნოვიცკის, ის მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა, მაგრამ რაკი გერმანიამ წააგო, გმირებს უფრო საბერძნეთის ნაკრებში ეძებდნენ სპეციალისტები.

თუმც ვინ გინდა რომ გამოარჩიო ბერძენთაგან? ეს არის გუნდი, რომელსაც განსაკუთრებით ძლიერი მოთამაშე არ ჰყავს და უპირველეს ყოვლისა თავისი ერთსულოვნებით გამოირჩევა.

საბერძნეთმა ტურნირზე ყველაზე შეკრული შემადგენლობა ჩაიყვანა. მათ არ ჰყავთ ვარსკლავები, მაგრამ ძალიან შეთამაშებულნი არიან და გუნდური სულისკვეთებით გამოირჩევიან. სწორედ ამის ხარჯზე იმარჯვა საბერძნეთმა, თორემ მას არც ანდრეი კირილენკოს დარი მოთამაშე ჰყავს, არც ტონი პარკერის და, არც, რა თქმა უნდა, არც დირკ ნოვიცკისა. არადა, ბერძნებმა სწორედ ის ნაკრებები დაამარცხეს პლეი ოფში, რომლებსაც ჩამოთვლილი ვარსკვლავები უძღვებიან: მეოთხედფინალში კირილენკოს რუსეთი, ნახევარფინალში პარკერის საფრანგეთი და ფინალში ნოვიცკის გერმანია.





AFP ბელგრადიდან

ამით ბერძნებმა ცხადყვეს, რომ სწორედ გუნდური თამაშია კალათბურთში წარმატების მთავარი საწინდარი და არა ინდივიდუალიზმი. ნოვიცკი ძალიან მაგარია და შეუძლია ერთი, ორი თამაში მოაგებინოს თავის გუნდს, მაგრამ ჩემპიონს ვერ გახდის. თავად ნოვიცკიმ თქვა ნამატჩევს: „ბერძნებმა ფენომენალურად ითამაშებს, ისინი გამარჯვებას იმსახურებდნენ“.

ნოვიცკი თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე გავიდა მოედნიდან, როცა ყველაფერი ბერძენთა სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მთელი 19-ათასიანი დარბაზი ფეხზე წამოუდგა მას და ტაშით გააცილა მოედნიდან.

„ის ფაქტი, რომ ნოვიცკის მეტოქემაც დაუკრა ტაში, ნათლად მეტყველებს ამ კალათბურთელის იმიჯსა და სიძლიერეზე. მან ჩვენ ფინალამდე მოგვიყვანა, მაგრამ მხოლოდ სასწაულის მოხდენა ვერ შეძლო, ერთ მუშტად შეკრული ბერძნები ვერ გატეხა“ — თქვა გერმანელთა თავკაცმა, ნოვიცკის სეხნია დირკ ბაუერმანმა.

მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ ბერძნებმა აიწყვიტეს და მესამე მეოთხედში თითქმის გადაწყვიტეს გამარჯვებულის ვინაობა. თეოდოროს პაპალუკასმა რუსეთთან მეოთხედფინალში გამოიჩინა თავი, როცა 23 ქულა მოიპოვა და ბერძნები საჩემპიონო გზაზე მნიშვნელოვნად წინ წაწია. პაპალუკასმა ამჯერადაც აჩვენა თავისიანებს — გერმანელებს 22 ქულა ჩაუგდო.

პაპალუკასს დიდი წვლილი მიუძღვის იმ ვაქცევაში, რომელიც ბერძნებმა მესამე მეოთხედის დასაწყისში მოაწყვეს და სანუკვარი ჰანდიკაპი მოიპოვეს.

„ჩვენ ვოცნებობდით ამაზე — ამბობს პაპალუკასი — მე ათი წლის ვიყავი, როცა ჩვენი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონი გახდა, როგორც მოთამაშე. ახლა უკვე ჩემმა თაობამ გაუგო ჩემპიონობას გემო და ჩვენი მიზანი ისაა, რომ მომდევნო თაობაც ეზიაროს ასეთ მშვენიერ გრძნობას“.

**ირაკლი პერტაია**

## მატჩი მესამე ადგილისთვის

### საფრანგეთი 98:68 ესპანეთი





AFP ათენიდან

# მსოფლიოს ჩემპიონატი

**27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა**

ჩემპიონატზე ითამაშებენ: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)

# კაცურ ქალებს მივესალმები

## დღეს არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება



**გათამაშებაში პლანეტის რვა უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს და გამარჯვებული მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდება. შეგახსენებთ, რომ ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონობას ორი მოჭადრაკე იჩემებს: ფიდეს ვერსიით უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი და კლასიკურით — რუსი ვლადიმერ კრამნიკი. კასიმჯანოვი ამ ჩემპიონატზე ითამაშებს, ხოლო კრამნიკმა უარი თქვა მონაწილეობაზე. ჩემპიონატის დაწყებამდე ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვს რუსი ჟურნალისტი გაესაუბრა**

**— ცოტა ხნის წინ ფიდეს ექს-ჩემპიონი უკრაინელი რუსლან პონომარიოვი ვნახე და მან წყენით მითხრა: „ჩემი და გარი კასპაროვის მატჩიც არგენტინაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩაიშალა. მალე ახალი ჩემპიონატი კი ისევ არგენტინაში გაიმართება, თითქოს ახლა სხვა ქვეყანა იყოს"-ო. თქვენ რას იტყოდით ამაზე?**

— მაშინ არგენტინაში ხელისუფლება შეიცვალა და ეკონომკური კრიზისი დაიწყო. შემდეგ მატჩი იალტაში უნდა გამართულიყო, თუმც პონომარიოვის მხარემ ახალი მოთხოვნები წამოაყენა და ეს მატჩიც ჩაიშალა. მიუხედავად ამისა, პონომარიოვს ახალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეპატიჟები. 3-დან 24 დეკემბრამდე ხანტი-მანსიისკი მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებს და საპრიზო თანხა 1 მილიონ 572 ათასი დოლარი იქნება. აქ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური გათამაშდება და გამარჯვებულები სოლიდურ ფულად პრემიებსაც მიიღებენ.

**— დარწმუნებული ხართ, რომ არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატი არ ჩაიშლება?**

— ფიდეს ანგარიშზე სოლიდური ფულადი თანხა გადმოირიცხა და ყველა მონაწილე უკვე სან-ლუისშია. ბუენოს-აირესის ბილეთები უკვე მეც ავიღე და აგერ ჯიბეში მიდევს.

**— საწყენია კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი კრამნიკი რომ არ ითამაშებს. თუ საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებაზეა საუბარი, კარგი იქნებოდა მასაც რომ ეთამაშა. როგორ ფიქრობთ, არ ჯობია სან-ლუისში გამარჯვებული კრამნიკს რომ შეხვდეს?**

— თუ კრამნიკის სპონსრები საინტერესო წინადადებით მოვლენ და სან-ლუისში გამარჯვებული დიდოსტატიც არ იქნება წინააღმდეგი, დაე ითამაშონ.

**— რა თანხა იქნება ამისთვის საჭირო?**

— დაახლოებით ორი მილიონი დოლარი, თუმც ამას დაინტერესებულ მხარესთან უფრო კონკრეტულად განვიხილავთ.

**— სან-ლუისში ვის უქომაგებთ?**

— როგორც ფიდეს პრეზიდენტი არავის მივემხრო. კარგი მოგონებები მაკავშირებს რუსეთის ოთხგზის ჩემპიონ პეტერ სვიდლერთან. იგი ჩემს ელისტაში ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ყალმუხებმა ხუმრობით პერტ სვიდლერელისტელი შეარქვეს. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატში მონაწილე შვიდ მამაკაცს და ერთ ჭადრაკის ამორძალ იუდიტ პოლგარს ერთნაირად ვუქომაგებ. არგენტინაში ყველას წარმატებას ვუსურვებ. ხომ გახსოვთ ამ ქვეყანამ ერთ დროს კაპაბლანკა-ალიოხინის ლეგენდარულ მატჩს უმასპინძლა.

**— რას იზამს ფიდე, თუ მამაკაცთა პირველობას ქალი მოიგებს?**

— პოლგარი ძლიერი მოჭადრაკეა და ამის შანსი ნამდვილად აქვს. თუ იგი მოიგებს ჩემპიონატს, ჩვენ მივესალმებით.



# ტანგო და ბიფშტექსი კასიმჯანოვის თავში

ფიდეს ჩემპიონი უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი 1979 წლის 5 დეკემბერს დაიბადა და შეჯიბრის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა. იგი თეორიულად საუკეთესოდ არის მომზადებული და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა დაჯაბნა. ფინალში მან ინგლისელ მაიკლ ადამსს მოუგო. კასიმჯანოვი სან-ლუისში ოპტიმისტური განწყობით ჩადის და ახალ სიურპრიზებს კვლავაც გვპირდება. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა კითხვებს უპასუხა

**— რას ელოდებით ამ შეჯიბრისგან?**

— რვავე მეტოქე მოსაგებად ვიბრძოლებთ და გპირდებით, ბევრ საინტერესოს ნახავთ.

**— როგორ შეფასებას აძლევთ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— 14 კლასიკური პარტიის ჩატარება მეტად დაგვღლის, ბოლოს და ბოლოს, ბევრი იქნება სანერვიულო და ვინც ამ ორომტრიალში იყოჩაღებს, გამარჯვებასაც ის იზეიმებს.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— ამ მომენტისთვის საუკეთესო ანანდია, თუმც ასეთ ტურნირზე ყველა დაუნდობელი იქნება.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ამას ვერ გაგიმხელთ.

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— ვიმედოვნებ.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— ენერგია და კარგი ნერვები.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ, ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— ფორმატით და მონაწილეებით ლინარესის სუპერტურნირს ჰგავს.

**— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?**

— კი, აქ უძლიერესი მოჭადრაკეები შევიკრიბეთ და საუკეთესო პარტიებს ვითამაშებთ. სიახლეც ბლომად იქნება.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— ტანგო, ბიფშტექსი და კასაბლანკა-ალიოხინის მატჩი ბუენოს-აირესში.

# ადამიანი-ობობა ცოტას ლაპარაკობს და წითელი ღვინო ენატრება



მაიკლ ადამსი

*მაიკლ ადამსი ინგლისის ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკეა. დიდოსტატს კარგად აქვს ათვისებული საჭადრაკო ტაქტიკა, თამაშისას კი დამაბნეველი მანევრების განხორციელება უყვარს და ამის გამო მეტსახელად ადამიან-ობობას უწოდებენ. ადამსი 1971 წლის 17 ნოემბერს დაიბადა ინგლისში და 17 წლისა უკვე ამ ქვეყნის ჩემპიონი გახდა. იგი შარშან ფიდეს ჩემპიონატში ფინალამდეც მივიდა, თუმც იქ უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვთან წააგო და მეორეობას დასჯერდა. ადამსი ფიდეს რეიტინგში 11-ეა და ინტერვიუს ჩაწერისას ცოტა სიტყვაძუნწი აღმოჩნდა.*

**— რას ელოდებით ამ შეჯიბრისგან?**

— აქ რვა უძლიერესი მოჭადრაკე შევიკრიბეთ და საინტერესოც ბევრი რამ მოხდება.

**— როგორ შეაფასებთ შეჯიბრის დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— მშვენიერი სისტემაა, მხოლოდ უძლიერესი მოიგებს.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— ყველა მოთამაშე გამარჯვებისთვის იბრძოლებს და ამიტომ ჩემს ფავორიტებს შეჯიბრის შემდეგ გეტყვით, მაგრამ ალბათ ანანდი, ტოპალოვი და ლეკო იქნებიან ლიდერები.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ბევრს ვმუშაობ და უამრავ პარტიას ვიხილავ.

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— ვიმედოვნებ.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— ვერ გიპასუხებთ.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ, ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— დიახ. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრია.

**— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ბევრ მაღალი დონის თამაშს იხილავენ.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— შესანიშნავი ბიფშტექსი და წითელი ღვინო. ბუენოს-აირესში ადრეც ვყოფილვარ და მაშინ ძალიან ვისიამოვნე. მოუთმენლად ველი სან-ლუისის ნახვას.



# ასტურიელი პრინცი

## ფერნანდო ალონსო მსოფლიოს ჩემპიონია

*კვირას, რაც ფორმულა ერთის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 24 წლის ესპანელ ფერნანდო ალონსოს ადვილად ვერაფრით მიუახლოვდებოდით — ასტურიელი აღტაცებულმა თანაგუნდელებმა და გულშემატკივრებმა ჯერ კინაღამ ხვევნა-კოცნით დაახრჩვეს, მერე კი ხელში აიტაცეს და კარგა ხანს მიწაზე ფეხი არ დააკარებინეს. რაღაც სასწაულით მადრიდულ „ასის“ ჟურნალისტებმა ამ ჯადოსნური წრის გარღვევა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხეს. საინტერვიუ საუბარი ტრიუმფატორ ალონსოსთან ბრაზილიურ „ინტერლაგუშზე“ რბოლის დასრულებისთანავე შედგა*

**— რბოლა როგორ წარიმართა?**

— საერთო ჯამში კარგად, თუმცა გარკვეული სირთულეებიც იყო. ვაღიარებ, მსოფლიოს ჩემპიონობაზე მუდმივმა ფიქრმა ძალზე ამაღელვა, მაგრამ ღმერთისა და ჩემი გუნდის დახმარებით ყველაფერი ბედნიერად ჩავამთავრეთ. ამინდის ჭირვეულობისაც მეშინოდა — ბოლო ორ-სამ წრეზე შეიძლებოდა, წვიმას მოესწრო, ამიტომაც მიხაელ შუმახერის ბოლიდთან სახიფათოდ ახლოს რომ არ ვყოფილიყავი, რბოლის დაწყებიდანვე გიჟივით მივქროდი.

**— მუნდიალზე ფიქრი მართლაც არ მოგასვენებდათ..**

— ბრაზილიის დიდ პრიზამდე რამდენიმე კვირა რაღაც უცნაურ, არარეალურ სამყაროში ვიცხოვრე. ახლა მინდა, ჩემს ოჯახსა და მეგობრებს გულშემატკივრობისა და მხარდაჭერისთვის მადლობა ვუთხრა. მათ გამამხნევეს, ამ დიდებულ გამარჯვებამდე რომ მივსულიყავი.

**— როცა ჩემპიონი გახდით, პირველად ვინ გაგახსენდათ?**

— წარმოვიდგინე შინ, ასტურიაში რა დღეში იქნებოდნენ. დედა, მამა და ჩემი და გამახსენდა და, რა თქმა უნდა, ბებიაც — მსოფლიოში მასზე უფრო ერთგული გულშემატკივარი არ მყავს.

**— ტიტული როგორ აღნიშნეთ?**

— კვარცხლბეკზე მდგომმა მოგებულ თასში შამპანური ჩავასხი და რამდენიც შემეძლო, სულმოუთქმელად შევსვი. მერეც ბევრ ფიესტას მოვაწყობ, ოღონდ ზედმეტი ალკოჰოლის გარეშე.

**— გარდა ესპანეთისა, გულშემატკივრები თითქმის ყველა ქვეყანაში გყავდნენ.**

— ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას. ინჩასებმა თავიანთი ქომაგობით ცამდე ამიყვანეს და მეც ფორმულა 1-ის ჩემპიონობამდე ფრთაშესხმული მოვედი. მიხარია, რომ აქ, ბრაზილიაში, ისევე, როგორც სხვაგან, ჩემს რბოლას ძალიან ბევრი ადამიანი გულშემატკივრობდა.

**— „ინტერლაგუშის“ ბოლო წრეების შესახებ მოგვიყევით.**

— რბოლის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე მანქანაში სახიფათო ხმაური გავიგონე. მართალია, მშიშარა არ ვარ, მაგრამ ავარიის შესაძლებლობამ საშინლად დამაფრთხო. მგონი, ვიდრე საფინალო ხაზი არ გადავკვეთე, წესიერად არც ამომისუნთქავს... მერე იყო, როცა ნამდვილ ჩემპიონად ვიგრძენი თავი. თან ჯილდო ბრაზილიაში, აირტონ სენას სამშობლოში მოვიპოვე, რაც ჩემთვის დამატებითი სიხარულია. სენას ყველა დროის საუკეთესო პილოტად ვთვლი და მის ქვეყანაში, მისივე ფანების თვალწინ ჩემპიონატის მოგება ნებისმიერი მრბოლისთვის ორმაგი პატივია.

**— 24 წლისა მუნდიალის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდით. ბუნებრივია, ამას დიდ მნიშვნელობას მიანიჭებთ.**

— რეკორდებზე ნაკლებად ვფიქრობ. მთავარი თავად ჩემპიონობაა და არა ის, პრიზს ყველაზე ახალგაზრდა მოიგებ თუ პირიქით...

**— საერთოდ, როგორ გრძნობთ თავს?**

— შესანიშნავად. რომ გითხრათ, გამარჯვება მთლიანად გააზრებული მაქვს-მეთქი, ტყუილი იქნება, ჯერ ისევ სიხარულით ვარ გაბრუებული, თუმც უკვე ვიცი რაღაც ბრწყინვალე რომ „ჩავიდინე“.

**— რთული სეზონი დიდებულად დაასრულეთ.**

— გეთანხმებით, მას შემდეგ, რაც მარტში ავსტრალიაში ფორმულა 1-ის ჩემპიონატი დაიწყო, ბევრი დაბრკოლება შემხვდა და ხშირად ნერვიული აფეთქების ზღვარზეც ვიყავი. შეჯიბრების [illegible] კვარცხლბეკზე დგომა, [illegible], ჩემპიონობა, ვერც წარმომედგინა.

**— „ინტერლაგუშის“ გადამწყვეტი რბოლის წინ ასმაგად ფხიზლად იქნებოდით.**

— მინდოდა, ფინიშამდე მანქანის მექანიზმს რამე გაუთვალისწინებელი არ მოსვლოდა. ხომ ხდება ხოლმე, ბოლო წრეზე ძრავას რაღაც სისულელე დაეტაკება და უკვე თითქმის ფინიშ მისულს ბედი ჯოჯოხეთში დაგტოვებს. საბედნიეროდ, ბრაზილიაში იღბლიანი დღე მქონდა.

**— მიხაელ შუმახერის ბოლიდი კვალში გედგათ. ამის გამო არ შეშფოთდით?**

— ვიცოდი, რომ მიხაელი საკმაოდ შორს იყო და დიდად არ ვნერვიულობდი.

**— ფორმულა 1-ის ლეგენდამ ბრაზილიის დიდ პრიზზე მეოთხე ადგილი დაიკავა. შუმახერის უკან ჩამოტოვებით ჩემპიონობის მოგებას ალბათ თავისებური განსაკუთრებული გემო აქვს.**

— შუმახერი თავისი საქმის დიდოსტატია და მიხარია, რომ მითიური პილოტის მერე ჩემპიონობა სწორედ მე მერგო.

**— მონტოიას შესახებ რას გვეტყვით?**

— ხუან-პაბლომ „ინტერლაგუშის“ თაისნობისთვის გააფთრებით იბრძოლა. რადგან მისი პირველი ადგილი პრობლემას არ მიქმნიდა, წინ აღარ გადავუდექი. მონტოიამ და მე ერთმანეთს კარგად გავუგეთ.

**— ყველაზე „ნორჩმა“ პილოტმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. თქვენს სამომავლო გეგმებზეც გვითხარით.**

— ახალი ჯილდოს მოპოვებას ვეცდები. შეიძლება, მიხაელ შუმახერივით ბრწყინვალე კარიერა არ მქონდეს, რადგან რაც გერმანელმა შეძლო, იმის მიღწევას არნახული ბედი და მუდმივად სხვაზე უკეთესი ბოლიდის ქონა სჭირდება. გაიხსენეთ — შუმახერის „ფერარი“ 7 წლის განმავლობაში სწორუპოვარი იყო, წლეულს კი იღბალი და განახლებული „რენო“ ჩემს მხარეზე იყვნენ... ერთი სიტყვით, მომავალშიც ასეთ გამარჯვებებს ვისურვებდი.







გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ოთარ თუშიშვილი



AFP ბუდაპეშტიდან

ლევან ჩაბრაძეს ბრინჯაომდე ერთი ნაბიჯი დააკლდა

# ოთარმა ყაზახი მოთუშა

**გუშინ** ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის და პირველი ქართული მედალიც გამოცხვა. პირველ დღეს ქართველთაგან სამ მსუბუქწონოსანს მოუწია საქმეში ჩართვა — გოჩა კირკიტაძეს (55 კგ), ლევან ჩაბრაძესა (60) და ოთარ თუშიშვილს.

წარუმატებელი აღმოჩნდა პირველივე ქართველი ფალავნის ჭიდაობა. გოჩა კირკიტაძემ კუბელ რენე მონტეროსთან წააგო და მედლის მოპოვების ერთადერთი გზა დარჩა — მისი მძლეველი ნახევარფინალში უნდა გასულიყო და გოჩას ბრინჯაოს მოგების შანსი გაუჩნდებოდა, თუმცა... მონტერო მომდევნო ბრძოლაშივე დამარცხდა და კირკიტაძესთვის მსოფლიოს ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა.

აი, მომდევნო მოჭიდავეებმა კი იყოჩაღეს და ორივე ქართველი ერთ ნაბიჯში მივიდა ბრინჯაოსთან, ოღონდაც მედალი ერთმა მოიპოვა.

ოთარ თუშიშვილმა 1/64-ფინალიდან დაიწყო ბრძოლა და მერვედფინალამდე იოლად მივიდა, სადაც სერაფიმ ბარზაკოვთან დამარცხდა. თუმცა ბარზაკოვი მერე ნახევარფინალში გავიდა და ოთარმა რეპეშაჟით გააგრძელა ბრძოლა.

თუშიშვილს მესამე ადგილისთვის ყაზახი ლეონიდ სპირიდონოვი შეერკინა, რომელიც სწორედ ბარზაკოვთან დამარცხდა ნახევარფინალში. ოთარმა სამედლო ბრძოლა დიდი მობილიზებით ჩაატარა და სპირიდონოვი 2:0 დაამარცხა. ესეც პირველი მედალი.

ბრინჯაოს მედლის მოპოვების კარგი შანსი მიეცა 60-კილოგრამიან ლევან ჩაბრაძეს, თუმცა ის გადამწყვეტ ბრძოლაში სომეხ ბერბერიანთან დამარცხდა.

დღეს ტატამზე სამი ქართველი გავა: დავით ახალმოსულიშვილი (74), რევაზ მინდორაშვილი (84) და ლუკა კურტანიძე (96)

სოფტბოლი

# სოფტბოლს ხელისუფლებაც ემხრობა

## თემქაზე ამიერკავკასიის აკვანი დაირწა

**გუშინ** ახალი სასწავლო წელი დაიწყო, თბილისის 143-ე სკოლის ეზოში კი განსაკუთრებული ჟრიამული და საზეიმო განწყობა სუფევდა. თემქაზე მდებარე ამ სკოლის ტერიტორიაზე ბეისბოლისა და სოფტბოლის სტადიონი გაიხსნა, რომელიც ყველა საერთაშორისო მოთხოვნას აკმაყოფილებს და პირველია ამიერკავკასიაში.

სტადიონზე სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, თუმცა ძირითადი საქმე მოლეულია და უახლოეს მომავალში ის სრული დატვირთვით ამოქმედდება.

სტადიონის გახსნის ცერემონიალს გლდანი-ნაძალადევის გამგებელი ნიკო ჩაჩირიშვილი და ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ. სტუმართა შორის იყვნენ სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი დონ პორტერი და გენერალური მდივანი ედი ლოიხნერი.

მსოფლიო სოფტბოლის მეთაურებს საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე მასპინძლობდა, რომელიც სტადიონის მშენებლობასა და იქ მოვარჯიშე სოფტბოლისტთა შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას აწვდიდა სტუმრებს.

სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ქართველ სპორტსმენებს 50 ათასი დოლარის ღირებულების ამუნიცია ჩამოუტანა, რომლის ძირითადი ნაწილი გუშინ თემქის სტადიონზე მოვარჯიშე სოფტბოლის გუნდებს გადაეცათ.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ბატონ პორტერს ხელისუფლების მხრიდან სოფტბოლის მხარდაჭერა და მისი პოპულარიზაცია აღუთქვა:

„შესაძლოა დიდ საერთაშორისო ტურნირებს ვერა, მაგრამ დასაწყისისთვის ამ სტადიონზე საკმაოდ სოლიდურ სოფტბოლის შეჯიბრებს გავმართავთ, რათა ახალგაზრდები დაინტერესდნენ სპორტის ამ ლამაზი სახეობით".







ამერიკელმა სტუმრებმა და ქალაქის ხელმძღვანელებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს, მოედანზე შეკრებილ მთელს 143 სკოლას სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და სტადიონიც გახსნილად გამოაცხადეს.

**ირაკლი პერტაია**

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*

რაგბი

# ახალბედა ხულიგანას ჰეთ თრიკმაც ვერ უშველა

## მაგთიკომის პირველობა

საქართველოს ჩემპიონატი.
უმაღლესი ლიგა 26. 09

**ლოკომოტივი 26:6 აკადემია**

**ლოკომოტივი:** (15-9) ასათიანი, გუგავა, უდესიანი, გიგაური, კობერიძე, კვინიხიძე, სამხარაძე (1-8) ნიშნიანიძე, ქარაბაქი, მელიქიძე, მხეიძე, კორკოტაძე, მაისურაძე, სუთიაშვილი, ყურაშვილი

***შეცვლაზე შევიდნენ:*** *სპანდერაშვილი, ტრაპაიძე, მაღალთაძე, აბაშიძე*

*4 ლელო — ზ. კობერიძე, პ. სამხარაძე, ნ. მხეიძე, ფ. უდესიანი; 3 გარდასახვა — ბ. კვინიხიძე*

**აკადემია:** (15-9) ელიზბარაშვილი, ლამბაშიძე, სულამანიძე, ქოპილაშვილი, პინჩუკოვი, ხუხუნაიშვილი, კობახიძე, (1-8) ბანდელაძე, ნატროშვილი, გელანტია, ნებულიშვილი, ქარუხნიშვილი, ჩიკვაიძე, მურვანიძე, მჭედლიძე

*2 საჯარიმო — გ. ელიზბარაშვილი*

**24.09 ლელო 33:22 ხულიგანა**

**მაგთიკომის** პირველობის მესამე ტურის მატჩები წინა ორზე თვალსაჩინო გამოდგა. ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გამართული შარშანდელი ჩემპიონის „ლელოსა" და გათამაშების ახალბედა „ხულიგანას" შეხვედრა, მიუხედავად ატალახებული მოედნისა, გაშლილი და ჯიგრიანი იყო. „ხულიგანა", ისევე როგორც წინა ტურში „ლოკომოტივთან" თამაშისას, აქაც გამოცდილებამ დაალალატა — მთელი მატჩის განმავლობაში სულ თხუთმეტიოდე წუთი დათმეს და ამ მცირე დროში 21 ქულაც მიიღეს. შეხვედრა ლევან გენებაშვილის ლელოთი დასრულდა, რომელმაც ლელოთა ჰეთ თრიკი გააზერხა, თუმც მსაჯის სასტვენმა მაინც „ლელოს" გამარჯვება დააფიქსირა.

დატბორილი მოედნის გამო გადადებული „ლოკომოტივისა" და „აკადემიის შეხვედრა" შაბათის ნაცვლად ორშაბათს გაიმართა. „ლოკომოტივმა" მესამე ტურშიც დაამტკიცა, რომ მაგთიკომის პირველობისთვის ძნელად თუ ვინმე შეეცილება და არც „სარბიელის სინის" დათმობას აპირებს.

„აკადემიის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნარიმანაშვილის ბიჭებმა მოინდომეს და იომეს, მაგრამ დერეფანში და შერკინებაში ელემენტარულ შეცდომებს უხეირხული თამაშიც წაამატეს — შედეგად ვაკის სტადიონზე მისულმა რაგბის ქომაგმა გვარიანი ჯახაჯუხი, „ლოკომოტივის" გამართული თამაში და კარგი პირველი ტაიმი იხილა, რომელიც 12:6 დასრულდა.

მეორეში „აკადემია" გატყდა, ნაჩქარევმა კომბინაციებმა „ლოკომოტივს" ხელფეხი გაუხსნა. პირველ ნახევარშივე ლალად მობურთალ სამხარაძეს, მაისურაძესა და კვინიხიძეს მთელი გუნდი აჰყვა და მატჩიც ლოგიკური შედეგით დასრულდა.

დღეისთვის ჩემპიონატს 6-ქულით ლიდერობს „ლოკომოტივი". მომდევნო ადგილებზე არიან: „ლელო"(4), „ხულიგანა" (2), „აკადემია" (0), „ყოჩები" (0)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნაჩიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი,
ლადო ხომერიკი, ვაკო ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მალლაკელიძე
ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი,
მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე,
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge